ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 მარტი, 2022 №46 (8824) ფასი: 60 თეთრი

ელენე ხოშტარია მთავრობასთან დააკავეს

გვ.3

„ივანიშვილმა ფსონი პუტინის გამარჯვებაზე დადო და „ოცნებაც“ თუთიყუშივით იმეორებს“

დავით ზურაბიშვილი: „ოცნების“ ქმედებებს ღია პროროსობა სჯობია, ის იქნებოდა ნაძირლობა, მაგრამ რაღაცა პოზიცია. სანგარში არიან ჩამძვრალი, ოღონდ რამე არ უთხრან“

გვ.2

„კობახიძემ ეთნიკური შუღლის გაღვივება თავისკენ მოიკითხოს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი ცდილობს, დასავლეთთანაც არ გაიფუჭოს საბოლოოდ ურთიერთობა“

„რუსეთიდან ვინც შემოდის, ყველას პუტინის მთავრობა აფინანსებს“

გვ.3

მამუკა გვაძაბია: „13 ოქტომბერს შევიტანე პარლამენტში საინიციატივო პაკეტი, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის შეეზღუდათ საქართველოში მიწების და ბინების ყიდვა“

გვ.4

„საჯარო გამოსვლებისას ხელისუფლების საჯარო ენა დასახვეწია“

პეტრე მამრაძე: „მოხალისეები, ვისაც წასვლა უნდა, უპრობლემოდ მიდიან და უკრაინაში სხვა გზებით შედიან“

გვ.2

ირაკლი კობახიძე: „უკრაინის ხელისუფლება არის ძალიან მძიმე, ომის მდგომარეობაში“

ევროპაში რუსული გაზის ჩანაცვლებაზე მუშაობენ

გვ.4

ცხინვალში ფასები კატასტროფულად გაიზარდა

ISSN 1987-9385

3 ვაშაძე: „უკრაინელების თხოვნით, ვთხოვ სააკაშვილს, შეწყვიტოს შიმშილობა“

6 მოსკოვში მასობრივი პროტესტი დაიწყო — ხალხი უკრაინასთან ომის წინააღმდეგია

4 რუსეთი ქართულ საწარმოებს რძის ნაწარმის შეტანას სთავაზობს

5 გორში სტალინის ძეგლი უთავოდ დატოვეს

6 ზელენსკი: „რუსეთი ოდესის დასაბომბად ემზადება“

„ივანიშვილმა ფსონი პუტინის გამარჯვებაზე დადო და „ოცნებაც“ თუთიყუშივით იმეორებს“

დავით ზურაბიშვილი: „ოცნების“ ქმედებებს ღია პრორუსობა სჯობია, ის იქნებოდა ნაძირლობა, მაგრამ რაღაცა პოზიცია. სანგარში არიან ჩამძვრალი, ოღონდ რამე არ უთხრან“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ნიშნავს ხელისუფლების გადაწყვეტილება რუსული კრიტიკული ტელეარხის „დოჟდის“ ჟურნალისტის არ შემოშვებასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა გზა ხსნილია სხვებისთვის და ირაკლი კობახიძე ქართველებს დაემუქრა კიდეც, თუ რუსებს დისკრიმინაციულად მოექცევით, დაისჯებითო? რა პოლიტიკა აქვს მმართველ გუნდს და პრაგმატულად თუ მაინც აქვს გამართლება? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

– დიდი განხილვა იყო რუსების შემოშვება – არშემოშვების საკითხზე და ამ დროს რუსული ტელეკომპანია „დოჟდის“ ჟურნალისტი არ შემოუშვეს საქართველოში. რას ნიშნავს ეს და გვაქვს თუ არა უფლება, საერთოდ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე ამ ფაქტის შემდეგ?

– მე არ ვიცი კონკრეტული დეტალები, კონკრეტულად რა მოტივით უთხრეს უარი ჟურნალისტს. ვიცი, რომ ფაქტი მოხდა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, დეტალები არ გამოქვეყნებულა. საერთოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ქცევას პრეზიდენტის გარდა, არ ვიცი, რა დავარქვა. მართალი გითხრათ, ლოგიკასაც ვერ ვხედავ. ეს არის უღირსი, მხდალი ხელისუფლების პოზიცია. დავუშვათ, რომ ეს იყოს კოორდინირებული რუსეთის ხელისუფლებასთან, ეს ლოგიკაც არ მესმის. იმიტომ, რომ ჰააგაში როდესაც მონაწილეობ და პუტინის გასამართლებას ხმას მისცემ და სანქციებს ხმას მისცემ გაეროში, კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებ... მაშინ მარტო ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ დაუჭირა მხარი. თუ ასე გააკეთებ, ამ დროს პრეზიდენტი ასე ლაპარაკობს და ამ დროს მთავრობა გააკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც სუფთად კოლაბორაციონისტულია, ამის ახსნა, ლოგიკურად, მიჭირს.

ერთადერთი, რასაც კულუარულად ვიგებ, ეს არის საქართველოს ხელისუფლებაში ძალიან სერიოზული პანიკა და შიში, რომ ემანდ პუტინი არ გაგვიბრაზდეს. არ ვიცი, რატომ ჰგონიათ, რომ პუტინი „დოჟდის“ ჟურნალისტის შემოშვებაზე გაბრაზდება და სანქციებს რომ შეუერთდები, იმაზე არა, ეს მე არ ვიცი.

ღარიბაშვილი უყურებს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს და იმას, როგორც ჩანს, ბოლო მომენტში ვინც დაურეკავს, იმის ეშინია ყველაზე მეტად და იმისკენ იხრება.

– ღარიბაშვილის ის ცნობილი განცხადება ამით იყო გამოწვეული, რომელმაც ჩვენი არაერთი მოქალაქე აღაშფოთა?

– ცხადია, მე ასე შევხედავდი. ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ პუტინი მოიგებს ამ ომს. ფსონი დადო ამაზე, რომ პუტინი გაიმარჯვებს, უკრაინას ის დაიპყრობს და დასავლეთი ამას ვერ გაუწევს სათანადო წინააღმდეგობას და გადაწყვიტეს, რომ მთლად არ დაეწვათ ხიდები და რაღაცნაირად დასავლეთსაც შეხმიანებოდნენ. ეს ხაზი იყო აუცილებლად და ღარიბაშვილის გამოსვლასაც ვერ დავარქმევ. ის იყო გამოხტომა. მერე მოვლენათა განვითარება, როგორც ჩანს, არ ადასტურებს ივანიშვილის გათვლებს, რომ პუტინი ასე ადვილად მოიგებს. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ არ არის ადეკვატური კულუარებში მყოფი მმართველი და ვერ ხვდება, რომ არ არის ეს ასე. ის ისევ პირველ ჩვენებას აწვება. ჯიუტად მაინც ვერ გაიაზრა საერთაშორისო კონიუნქტურა კარგად. დანარჩენ ხელისუფლებაზე ლაპარაკიც არ მინდა, ივანიშვილს რაც ესიამოვნება, მხოლოდ ისაა ერთადერთი მათი მოტივაცია. ეს ხალხი ჩვენ – საქართველოს მოქალაქეებს, არ ესაუბრება, ივანიშვილის გასაგონად ლაპარაკობს, რომ აი, ბატონო ბიძინა, თქვენ რომ დაგვიბარეთ, იმას ვაკეთებთ.

– სანქციების საკითხზე, თქვენი აზრით, რა პოზიცია უნდა დაეკავებინა საქართველოს?

– ჩემი პირადი აზრია, რომ ამ კონფლიქტში საქართველოს უნდა ეკავოს ცალსახად პროუკრაინული პოზიცია და სანქციებსაც უნდა უერთდებოდეს. შეიძლება არ შეუერთდეს ხმამაღლა და ჩუმად ისედაც შეერთებულები ვართ, იმიტომ, რომ ბანკები პრინციპში იმ სანქციების მიხედვით მოქმედებენ. შეიძლება დიდი აფიშირება არ მოგვეხდინა, მაგრამ ცალსახად პროუკრაინული პოზიცია უნდა გვეკავოს ყველა ასპექტში. ხელისუფლების რიტორიკაც ასეთი უნდა იყოს და ეს იქნებოდა ღირსეული და მორალური. რასაც ახლა ხელისუფლება აკეთებს, ეს უღირსობა და ამორალობაა. ეს პრაგმატულადაც სწორია, ახლა ჩვენ რუსებს რას ვეუბნებით ამითი?! ცოტა კიდევ კარგად დაგვიბღვირეთ, დაგვემუქრეთ და მუშტები დაგვიქნიეთ და საერთოდ დაგიწვებიო. ამით რუსეთს სტიმულს აძლევ, რომ უფრო მოგაწვეს. მით უმეტეს, უკრაინაში კრახის და ჩავარდნის შემდეგ, რუსეთს ჰაერივით დასჭირდება სადღაც რაღაცა წარმატება ტერიტორიების გაფართოების ამბავში და შეიძლება წარმატებით გაიფორმოს, მაგალითად, საქართველო.

– კობახიძემ მოქალაქეების მხრიდან რუსი მოქალაქეების მიმართ გამოხატული პროტესტის კონტექსტში ისაუბრა, რომ დისკრიმინაციული კანონი გამკაცრდება. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ეს ცარიელი სიტყვებია. რა სისულელეებს ლაპარაკობს, როგორც გითხარით, ეს არის ბიძინა ივანიშვილის საამებლად.

არ ვიცი რა და როგორ იქნება. საერთოდ ამათ ქმედებებში ლოგიკის ძიება რთულია. არა მგონია. რა უნდა გაამკაცრონ?! რას ჩაწერენ, რუსების წინააღმდეგ როცა რაღაცას იტყვი, დაგიჭერთ თუ რა უნდა ჩაწერონ?! არ ვიცი, ივანიშვილი რაღაცას იტყვის სოლოლაკში, ან ტელეფონით დაელაპარაკება და ეს იმეორებს თუთიყუშივით. იმასაც უხარია... ამას ვარაუდით არ ვამბობ, მე ვიცი ეს. პრაქტიკაშიც ასე ხდება ეს. ადრეც ასე იყო, უბრალოდ, მაშინ ისეთ ხალხთან რეკავდა, რომლებიც შესაძლოა ყოველთვის არ დათანხმებოდა, ახლა კი თუთიყუშები ჰყავს. ქვევრივით არიან, ჩამოსძახებს იქიდან, მერე ასძახებენ და მორჩა.

– პრეზიდენტის პოზიციები მკვეთრად განსხვავებულია ხელისუფლებისგან. ეს ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილი საბოლოოდ გათავისუფლდა „ოცნებისგან“ თუ რაღაც შეთანხმებაა?

– მაგდენი მე არ ვიცი. მე არ დავიწყებ ვარაუდებს. არ არის გამორიცხული, რომ თავიდან რაღაც შეთანხმებულიც ჰქონდეს რაღაც დონეზე და მთავარი აქ ის არის, რომ დღეს სალომე ზურაბიშვილი და პრეზიდენტის ინსტიტუტი ერთადერთი სახელმწიფო ინსტიტუციაა, რომელიც რაღაც ღირსებას უნარჩუნებს სახელმწიფოს. მთავრობა და პარლამენტი რასაც აკეთებს, ამას ღია პრორუსობა სჯობია, იმიტომ, რომ ეს სამარცხვინოა. ღია პრორუსობა იქნებოდა ნაძირლობა, მაგრამ რაღაცა პოზიცია. რაც ხდება, ეს სამარცხვინო ამბავია. ასეთ ადამიანებს გამარჯობაც არ უნდა უთხრა. ჩამძვრალია სანგარში და ოღონდ რამე არ უთხრან.

– სანგარშიც და ისევ არის მცდელობა, გადაიტანონ „ნაცქოცურ“ ჭრილში.

– გასაგებია, მაგრამ ეს არ ჭრის. არა მგონია, რომ ეს სერიოზულად ჭრიდეს. მეტი არაფერი არ იციან, ერთადერთი, ეგ იციან, რომ ყველაფერი დააბრალონ ნაცმოძრაობას.

– კი, მაგრამ, მე მიჩნდება განცდა, რა დროს „ნაცქოცობაა“, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი შეიძლება დადგეს.

– ეგ განცდა არა მარტო თქვენ, არამედ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს უჩნდება.

– რა მოლოდინები გაქვთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებისგან?

– მარტივი მოლოდინები მაქვს – რუსეთის მარცხი იქნება, უბრალოდ, ეს ხდება ძალიან დიდი მსხვერპლის ხარჯზე. სამწუხაროდ, უკრაინელი ხალხის დაღუპვის ხარჯზე ხდება, თუმცა რუსების მარცხი გარდაუვალია. 11 დღეა ეს ომი დაწყებულია და ხერსონის გარდა ვერც ერთი ქალაქი ვერ აიღო. მოქალაქეები ქუჩაში არიან და არ უშვებენ ოკუპანტებს. არ არის ამოუწურავი რუსული სამხედრო პოტენციალი, რა უნდა აკეთოს იქ?! ვერ მოიკიდებს ფეხს. უკრაინა უკვე ერთიანად შეკრა ანტირუსულ პათოსში. იმიტომ, რომ სახლებს რომ დაგინგრევენ და ბავშვებს დაგიხოცავენ, ვინ მოითმენს ამას. მეორე მხრივ, მსოფლიოს დახმარება უკრაინის მიმართ – მატერიალური თუ შეიარაღების თვალსაზრისით, ცოცხალი ძალის თვალსაზრისითაც – აგერ გავიგეთ, რომ ამერიკელი ვეტერანები ჩამოდიან, 3000 და კიდევ 1000 ვეტერანი ისრაელიდან ჩამოვიდა, პლუს უმძიმესი სანქციები, რაც რუსეთის ეკონომიკას მძიმედ დაარტყამს.

– მოლოდინი არ გაქვთ, რომ ომი გასცდება უკრაინის საზღვრებს?

– არ ვიცი. ატომურ ბომბს თუ ისვრის, არ ვიცი. სხვა რა უნდა გააკეთოს?! გაჭედილია. ჯერ უკრაინის ვერც ერთი ქალაქი ვერ აუღია და დიდი ალბათობით, თუ ასე გააგრძელებს, შესაძლოა დამარცხდეს კიდეც. უცხოელი სამხედრო ექსპერტებიც საუბრობენ ამაზე, რომ შეიძლება სამხედრო მარცხი განიცადოს რუსეთმა. იმიტომ, რომ ვერ მიდის წინ. ფეხი ხომ უნდა მოიმაგროს, შეხვედი – მერე რა უნდა აკეთოს?! – იქ თავისი ადმინისტრაცია უნდა დასვას, შემოიერთოს ის და არ გამოუვა ეს ამბავი.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უღირსია და ისეთი, რაც არ შეგვეფერება საქართველოს დღევანდელ მოქალაქეებს, ამას გარდა, პრაგმატულადაც უაღრესად წამგებიანია სახელმწიფოსთვისაც და მათთვისაც.

ირაკლი კობახიძე: „უკრაინის ხელისუფლება არის ძალიან მძიმე, ომის მდგომარეობაში“

– უკრაინის ხელისუფლება არის ძალიან მძიმე, ომის მდგომარეობაში და ერთადერთი, რაც შეიძლება ჩვენ გამოვხატოთ, ეს არის სოლიდარობა უკრაინის სახელმწიფოს და უკრაინელი ხალხის მიმართ.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, „მოამბის“ ეთერში განაცხადა.

კობახიძემ ვოლოდიმირ ზელენსკის 4 მარტის მიმართვაზე გააკეთა კომენტარი, რომლითაც უკრაინის პრეზიდენტმა შვიდ ქალაქს, მათ შორის, თბილისს მიმართა.

– მე ვუსმენდი ამ მიმართვას. ეს იყო, როგორც ჩანს, საერთო მიმართვა, ყველა ქალაქს ეკუთვნოდა, რადგან აქ არ იყო დაკონკრეტებული საქართველო და ის კონტექსტი, რომელიც უკავშირდება ჩვენს ქვეყანას.

დღეს, რა თქმა უნდა, უკრაინა არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, უკრაინის ხელისუფლება არის ძალიან მძიმე, ომის მდგომარეობაში და ერთადერთი, რაც შეიძლება ჩვენ გამოვხატოთ, ეს არის სოლიდარობა უკრაინის სახელმწიფოს მიმართ და უკრაინელი ხალხის მიმართ. ეს არის ჩვენი ძალიან მყარი პოზიცია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ

მისივე თქმით, ზელენსკის მხრიდან გაჟღერებული გადაწყვეტილება ელჩის გაწვევის თაობაზე აბსოლუტურად ალოგიკური იყო. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ვერ გახდებოდა ვერც თვითმფრინავის არგაშვება და ვერც რაიმე სხვა.

– საუბარი როცა იყო პრეზიდენტ ზელენსკის მიმართვაზე, აქ არ არის რაღაც პიროვნული დამოკიდებულება, მაგრამ ძალიან სამწუხარო ნაბიჯი გადაიდგა მისი მხრიდან. არ მგონია, რომ ეს იყო მისი გადაწყვეტილება, არ მგონია, მას საერთოდ ეცალოს იმისთვის, რომ საქართველოს საკითხებზე ასეთ დიდ ყურადღებას ამახვილებდეს, მაგრამ მისი მხრიდან იყო გაჟღერებული გადაწყვეტილება ელჩის გაწვევის თაობაზე, რაც იყო აბსოლუტურად ალოგიკური და ამაზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ.

ვერც სანქციები, ვერც თვითმფრინავის არგაშვება, არც რაიმე სხვა ვერ გახდებოდა ლოგიკურად ამ გადაწყვეტილების მიზეზი ერთი მარტივი საფუძვლით – არის უამრავი სხვა ქვეყანაც, რომელსაც სანქციები არ დაუწესებია, რომელსაც თვითმფრინავები არ გაუგზავნია და ასე შემდეგ. ასეთი არის ევროკავშირის წევრი ქვეყნები და არაევროკავშირის წევრი ქვეყნები. არც ერთ ასეთ შემთხვევაში არ მიუღია უკრაინის ხელისუფლებას გადაწყვეტილება ელჩის გაწვევის შესახებ. გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველო, თან ყირგიზეთთან ერთად.

ასეთ დროს, ბუნებრივია, ჩვენ არ გვქონდა იმის უფლება, რომ რეაქცია არ გამოგვეხატა. როდესაც ალოგიკურ ნაბიჯს დგამს შენ მიმართ კონკრეტული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შენ შენი რეაქცია უნდა მისცე, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ, ამ ყველაფრის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ჩვენი მხარდაჭერა უკრაინის სახელმწიფოს, უკრაინელი ხალხის მიმართ რჩება ურყევი და უკრაინის ხელისუფლების ვერავითარი გადაწყვეტილება ამაზე, ბუნებრივია, ვერ იმოქმედებს. მით უმეტეს, ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ომის მდგომარეობაში და ასეთ დროს საყვედურის გამოთქმა როგორც ასეთი, შეიძლება, ზედმეტი იყოს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

როგორც კობახიძე ამბობს, საფუძვლიანი ეჭვია, რომ ამ გადაწყვეტილების ინიციატორები მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირები იყვნენ.

– როდესაც უკრაინის ხელისუფლების ნაწილი დღემდე, ფორმალურად თუ არაფორმალურად არიან სააკაშვილი, ადეიშვილი, ლორთქიფანიძე, არახამია და სხვები, ნაცმოძრაობის სახეები, არახამიას შემთხვევაში, ის პირდაპირ არის სააკაშვილთან დაკავშირებული, ასეთ დროს ძალიან საფუძვლიანი ეჭვია, რომ, სავარაუდოდ, სწორედ ეს ადამიანები იყვნენ ამ გადაწყვეტილების ინიციატორები და სულის ჩამდგმელები.

ეს არის ჩვენი ძალიან ლოგიკური ვარაუდი, რაც არაერთხელ გამოითქვა და კიდევ ერთხელ შეგვიძლია გამოვთქვათ. ჯერ ერთი, გადაწყვეტილებები ელჩის გაწვევასთან დაკავშირებით ასე არ მიიღება, ფარდობითი პრინციპით არ მიიღება. ანუ ბელარუსიდან როცა შედის რუსული ჯარი, როცა ხორციელდება ბელარუსის ტერიტორიიდან ინტერვენცია, იქიდან არ გამოგყავს ელჩი და საქართველოდან იწვევ ელჩს, აქ არის ძალიან უხეში ლოგიკური აცდენა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძემ ეთნიკური შუღლის გაღვივება თავისკენ მოიკითხოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი ცდილობს, დასავლეთთანაც არ გაიფუჭოს საბოლოოდ ურთიერთობა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შავმა კატამ გაირბინა?

– სალომე ზურაბიშვილის პოზიცია უკეთეს შემთხვევაში არის შიდა კლანური დაპირისპირება. უარეს შემთხვევაში კი, ბიძინა ივანიშვილის მიერ კეთილი და ბოროტი პოლიციელის თამაში. ვხედავთ, არიან ბოროტი პოლიციელები ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე და კეთილი პოლიციელი პრეზიდენტი ზურაბიშვილი. არ მგონია, რომ ივანიშვილისგან დამოუკიდებელი იყოს ზურაბიშვილი. ვნახოთ, როგორი იქნება პრეზიდენტის შემდგომი ნაბიჯები, ყველაფერი ღიად გამოჩნდება. თუ უფრო მეტი გამბედაობა ექნება, მაგალითად, კიევში ჩავა ან პრეზიდენტ ზელენსკის ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვდება, ამის შესაძლებლობა თუ ექნება და დაუმტკიცებს მხარდაჭერას, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება.

– მას არ მიეცა შესაძლებლობა, რომ პარლამენტისთვის მოხსენებით მიემართა, ეს თქვენთვის რამეზე მიანიშნებს?

– რასაკვირველია! „ქართულმა ოცნებამ“ თავი აარიდა მკვეთრი პოზიციების დაფიქსირებას, რომელსაც ალბათ პრეზიდენტი ზურაბიშვილი აპირებდა სწორედ პრემიერის, უმრავლესობის თავმჯდომარის გაუგონარ, სრულიად მიუღებელ განცხადებებთან, ქმედებებთან დაკავშირებით.

– მაშინ რა გამოდის, ივანიშვილი კოჭს უგორებს უკრაინას?

– არა, ივანიშვილი ცდილობს, დასავლეთთანაც არ გაიფუჭოს საბოლოოდ ურთიერთობა. როგორც ჩანს, სანქციებს ფართო თვალები აქვს. ის საბოლოოდ ხიდებს არც ერთი მიმართულებით არ წვავს. ორი ხელით მოქმედებს. ეს მხოლოდ ჩემი პოზიციაა.

მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, შედგა, რადგან მან არაერთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, რომელიც

„ზურაბიშვილი მეტ გამბედაობას თუ გამოიჩენს, კიევში ჩავა ან პრეზიდენტ ზელენსკის ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვდება, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება“

ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობას სჭირდებოდა. რატომ არც ერთი ვეტო არ გამოიყენა?! რაც შეეხება მის არგუმენტებს, ძალიან სუსტად გამოიყურება. ვეტოს, პირველ რიგში, პოლიტიკური დატვირთვა აქვს. რა თქმა უნდა, მე თუ ვცდები და სალომე ზურაბიშვილი ყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი პრეზიდენტი, ამას მხოლოდ მივესალმები.

– ამ პროცესში, როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯები, თუნდაც ევროკავშირთან დაახლოების კუთხით?

– პოზიტიური ჯერჯერობით არაფერი არ ჩანს. არ არსებობს ხედვა, გეგმა, როგორ შეიძლება რეალურად დავუახლოვდეთ ევროკავშირს და განაცხადი არ არის გაკეთებული განაცხადისთვის.

„დოჟდის“ ჟურნალისტების საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოშვება ბევრზე მიანიშნებს. ეს სრულიად მიუღებელია. ერთი მხრივ, ვხედავთ, არ უშვებენ დისიდენტებს, ჟურნალისტებს, რომლებიც მართლა ებრძოდნენ პუტინის რეჟიმს და მეორე მხრივ, ვხედავთ, როგორ შემოდის ყველა ისე, რომ არც კი ვიცით, ვინ, ვინ არის. რატომ არ ხდება სავიზო რეჟიმის აღდგენა, გაუგებარია. სავიზო რეჟიმის აღდგენა, პირველ რიგში, მოგვცემდა შესაძლებლობას, რომ გაგვეგო, ვინ შემოდის, რა მიზნით შემოდის. პუტინის ემისრები შემოდიან, დივერსანტები თუ ადამიანები, რომლებიც მართლა გამოექცნენ პუტინის რეჟიმს. ამიტომ, მე ერთმნიშვნელოვნად მომხრე ვარ, აღდგეს სავიზო რეჟიმი ან, საერთოდ, ცალმხრივი გაუქმება რას ნიშნავს?!

– რა აზრის ხართ იმ კანონპროექტზე, რომელიც კობახიძემ დააანონსა?

– ეს კანონპროექტი ყოვლად მიუღებელია. რა შუაშია ეთნიკური შუღლი?! აღდგეს სავიზო რეჟიმი და ყველაფერი მოგვარდება. ამ კანონმა შეიძლება ეთნიკური შუღლის გაღვივებას ხელი მართლა შეუწყოს. ეს კი, მერე მართლა იქნება საბაბი, რომ პუტინმა კიდევ ერთხელ თქვას, ჩემს მოქალაქეებს ვიცავ და იერიში საქართველოზე მოიტანოს.

– თუმცა, უკვე არის საუბარი, რომ პუტინი საკუთარი მოქალაქეებისთვისაც კეტავს საზღვარს.

– გასაგებია, მაგრამ როდესაც ხელისუფლება ხარ, უფრო გონივრულად უნდა მოიქცე. ამიტომ, ეთნიკური შუღლის გაღვივება თავისკენ მოიკითხოს. იმაზე ილაპარაკოს, რომ საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება, რომელიც ლამის მოქალაქეობას უტოლდება, 300 ათას დოლარად იყიდება. სამ-ოთხ ბინას თუ იყიდის შემოსული, მას შეუძლია ოჯახთან ერთად მუდმივი ბინადრობის უფლება მოიპოვოს. ეს არის კორუფციულ-მოღალატეობრივი გარიგება, მეტი არაფერი. ამას არავითარი საერთო არ აქვს ბიზნესის წახალისებასთან, მოქალაქეების დასაქმებასთან თუ მეტი სამუშაო ადგილის შექმნასთან. ერთადერთი, რასაც ემსახურება, ეს არის სამშენებლო ბიზნესის გამდიდრება, რომელმაც თბილისი და ბათუმი უსახური ბეტონის ქალაქებად აქცია. 300 ათასი დოლარი, არა მგონია, დისიდენტებმა და ჟურნალისტებმა გადაიხადონ. ამიტომ ვამბობ, რომ ფილტრი უნდა არსებობდეს, რომ დივერსიული ჯგუფების, აგენტების შემოდინებისგან დავიცვათ თავი.

კიდევ ერთი ტრაგი-კომიკური ვითარება, რაშიც შეიძლება თავი გავყოთ, პუტინისთვის რძის მირთმევა იქნება. რძისა და რძის პროდუქტების გატანა რუსეთში პირდაპირ ღალატის ტოლფასი იქნება უკრაინისთვის. იმედი მაქვს, ყველა ნორმალური კომპანია ამაზე უარს იტყვის. ინვესტორები და ინვესტიციები ეძებონ არა რუსეთში, არამედ თუნდაც იმ ევროპულ კომპანიებში, რომლებმაც პროტესტის ნიშნად რუსული ბაზარი დატოვეს.

„საჯარო გამოსვლებისას ხელისუფლების საჯარო ენა დასახვეწია“



პეტრე მამრაძე: „მოხალისეები, ვისაც წასვლა უნდა, უპრობლემოდ მიდიან და უკრაინაში სხვა გზებით შედიან“

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო პეტრე, უკრაინაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე, საქართველოში შიდა დაძაბულობა მატულობს. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეიტანა, მაგრამ ხელისუფლება და ოპოზიცია ამასთან დაკავშირებითაც ერთ პოზიციაზე ვერ ვიხილეთ. თქვენ როგორ აფასებთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებებს?

– თქვენ იცით, როგორ ხშირად ვაკრიტიკებ ხელისუფლებას, დასაბუთებულად, არგუმენტირებულად, მაგრამ უკრაინის კრიზისის დროს, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის უმრავლესობის ქმედებებს დადებითად ვაფასებ. თუმცა, აღვნიშნავ, საჯარო გამოსვლებისა და კომენტარების დროს, საჯარო ენა უდავოდ დასახვეწია. შეიძლება, რაღაც სწორი გააკეთო, მაგრამ საჯარო გამოსვლაში ისე ილაპარაკო, რომ ბევრი ადამიანი გააღიზიანო. ეს ელემენტი არსებობს.

ოპოზიციის მოქმედებაში გამოვყოფდი იმ ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად არიან პუტინის გოშიები, ე.ი. პირდაპირ პროვოკაციას ახორციელებენ. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ასეთი პირდაპირი პროვოკაციის ნიმუში იყო თვითმფრინავის ამბავი, აეროპორტში რომ უნდა ჩამოსულიყო და აქედან მოხალისეები წაეყვანა.

– ეს რატომ კეთდებოდა?

– ეს კეთდებოდა იმისათვის, რათა ამ მოქმედებას მისცემოდა შეფასება, პირველ რიგში, კრემლისა და პუტინის მხრიდან, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში რუსეთთან საბრძოლველად უკვე მეომრებს აგზავნის. ამას უმძიმესი შედეგები მოჰყვებოდა.

– პუტინის გოშიებში კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

– ვგულისხმობ ყველას ერთად აღებულს, ვინც გამოდიოდა და აცხადებდა, თვითმფრინავი ჩამოვიდა, ხელისუფლებამ ჩვენი მოხალისეები არ გაუშვაო. ოღონდ, უნდა გამოვყოთ ისინი, ვინც შეგნებულად არიან პუტინის გოშიები. მაგალითად, გავრილოვის ღამე პუტინის ჩეკისტებისა და მათი აქაური შემსრულებლების პროვოკაცია და ერთობლივი ოპერაცია იყო.

საქართველოში ყველამ იცის, რომ მოხალისეები, ვისაც წასვლა უნდა, უპრობლემოდ მიდიან და უკრაინაში სხვა გზებით შედიან, ხმაური, თვითმფრინავი და ბიზნესპროექტი არ სჭირდებათ.

– ამით რის მიღწევა უნდოდათ? მიზანი უკრაინასთან ურთიერთობის გაფუჭებაც ხომ არ იყო? მოგეხსენებათ, უკრაინამ საქართველოდან ელჩიც კი გაიწვია.

– პირველი მიზანი იყო ის, თუ ამას მიეცემოდა კვალიფიკაცია (ნახეთ, როგორი წაუგებელი თამაშია). თუ მთავრობა თვითმფრინავს გაუშვებდა, მაშინ აყვირდებოდნენ, ჩვენ შევძელითო. ცხადია, ეს გააკეთეს იმ ნაცებმა, ვინც თბილისში არიან, მაგრამ უკრაინაში საკაშვილის გვერდით მუშაობდნენ და იმ ნაცებმა, ვინც უკრაინაში რჩებიან. როგორც გავიგე, უკრაინაში მერაბიშვილიც გადასულა. ასე რომ, ეს ერთობლივი პროექტი იყო.

პუტინის კრემლი ამას შეაფასებდა, როგორც ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ ხელისუფლება ბოვეიკებს უკრაინაში რუსეთთან საბრძოლველად აგზავნის. ეს კი საქართველოს კარგს არაფერს უქადის.

– პროდასავლურ ძალას (როგორც ნაცმოძრაობა თავს უწოდებს) რატომ არ უნდა უნდოდეს და უხაროდეს საქართველოს ევროკავშირში მიღება, თუნდაც ქვეყანა ევროკავშირში მიღებას არ იმსახურებდეს? ნაცებმა განაცხადეს, რომ საქართველო ევროკავშირში მიღებას არ იმსახურებს.

– მანდ საქართველოს სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია. არაერთხელ მისაუბრია ნაცებზე, როგორც ბანდაზე. საერთო დანაშაულით შეკრული ბანდაა, რომელიც დამყარებულია ტყუილზე, ძალადობასა და სიძულვილზე, მათ შორის, ერთმანეთის მიმართ, სხვა არაფერი მათ იქ არ აკავებთ.

ამიტომ, როდესაც კონკრეტული დაფინანსებაა, თავის საკუთარ მოგებას ხედავენ. მათი კრედოა (მეფის რუსეთში ბოლშევიკებს რომ ჰქონდათ): რაც უარესი, მით უკეთესი. რაც უარესი იქნება საქართველოსთვის, ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებენ, თავის თავს კი, დიდ პატრიოტად გამოიყვანენ. სტატია დავბეჭდე, „როგორ გავარჩიოთ ნაძირალები და პატრიოტები?“ ნაცები ამ მოდგმის ხალხია.

შესანიშნავად ვიცი, რომ რუსთაველის გამზირზე იკრიბებოდა ახალგაზრდობა, სტუდენტობა გულანთებული და შეძრული იმით, რომ პუტინის შემზარავი ჩეკისტურ-ფაშისტური რეჟიმი აგრესიას ახორციელებს ქართველების მოძმე ხალხის, უკრაინელების მიმართ.

გიორგი ბარამიძე: „იმის თქმა, რომ საქართველოში ვიღაცას ომი უნდა, სუფთა რუსული პროვოკაციაა“

– რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების პოზიციას უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, მმართველი გუნდი საქართველოში „ოკუპაციასთან შემგუებლურ, კოლაბორაციულ, სირაქლემას პოლიტიკას ატარებს“.

ამის შესახებ „პალიტრანიუსს“ ეთერში ნაციონალური მოძრაობის წევრმა, გიორგი ბარამიძემ, უკრაინიდან ჩართვისას განაცხადა.

– იმის თქმა, რომ საქართველოში ვიღაცას ომი უნდა, ეს სუფთა რუსული პროვოკაციაა. პატრიოტული ძალები რომ შერაცხონ, თითქოს ომი უნდათ და არ უნდა „ქართულ ოცნებას“. საქართველომ ამ „ქოცური“ „მშვიდობის“ დროს საოკუპაციო ხაზის გადმოწევით დაკარგა იმდენი ტერიტორია, რაც უდრის ორ ცხინვალს და სოხუმს ერთდროულად.

არავის არ უნდა ომი და არც უნდა დაიწყოს. ერთადერთი შანსი დარჩა ხელისუფლებას, საქართველოს მოსახლეობას დააჯეროს, რომ ნაციონალური მოძრაობა ნაგვები, კორუმპირებულები არიან, საქართველოს ეკონომიკა, ლარი, ენერგეტიკა დაანგრიეს, ხალხი გააქციეს, სიტყვის თავისუფლებას ჩქმალავენ, პრორუსული ჯგუფები გააჯეჯილეს, პრეზიდენტი სააკაშვილი და სხვა პატრიოტები ციხეში ჩასვეს, რომლებიც პუტინს და პუტინიზმს ებრძვიან.

სომალის ვუსწრებთ საქართველოდან ევროკავშირში გაქცეული ადამიანების რაოდენობით. ეს ყველაფერი უნდათ გადაფარონ იმით, რომ „ჩვენ, სამაგიეროდ, არ გვინდა ომი“. საზოგადოების მოტყუება არ გამოუვათ, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

ელენე ხოშტარია მთავრობასთან დააკავეს

გუშინ, 6 მარტს, „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია მთავრობის ადმინისტრაციასთან დააკავეს.

როგორც მან სოციალურ ქსელში დაწერა, კანცელარიის შენობას „რუსული კეტჩუპი შეასხა და რუსული ბრინჯი შეაყარა“.

როგორც ის აცხადებს, მისი დაკავება სწორედ ამ მიზეზით მოხდა.

„კანცელარიას შევასხი რუსული კეტჩუპი და დავყარეთ რუსული ბრინჯი. დამიჭირეს. თქვენც მიდით, დაყარეთ“ – წერს ელენე ხოშტარია.

როგორც ცნობილია, ასევე დაკავებულია „დროას“ რამდენიმე წევრი.

ვაშაძე: „უკრაინელების თხოვნით, ვთხოვ სააკაშვილს, შეწყვიტოს შიმშილობა“

სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილს უკრაინელი ხალხის სახელით მიმართა და მას შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა.

ამასთან დაკავშირებით მან „მთავარი არხის“ ეთერში კიევიდან ისაუბრა.

– ბევრი მაჩერებს და მეკითხება ამ ადამიანს... ჩავთვალოთ, რომ ამ ხალხის თხოვნაც არის, მიშა, თუ გვიყურებ ახლა, თუ შეძლებ, იქნებ გაითვალისწინო ამ ხალხის თხოვნა და შეწყვიტო ამ ეტაპზე შიმშილობა, – თქვა გიორგი ვაშაძემ.

ევროპაში რუსული გაზის ჩანაცვლებაზე მუშაობენ

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალში ფასები კატასტროფულად გაიზარდა

უკრაინაში შეჭრილი რუსეთი მის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების სიმძიმეს აღიარებს. პუტინი დასავლეთის სანქციებს ომის გამოცხადებას აღარებს.

– სანქციებმა რუსეთის ეკონომიკაზე მოსალოდნელ ეფექტს გადააჭარბა. რუსეთი ასეთი იზოლირებული არასდროს ყოფილა. აშშ მაინც ტოვებს ღია კარს დიალოგისათვის, – აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი.

რუსეთის ფედერაციისთვის, რომელიც არ ამბობს უარს თავის ზრახვებზე უკრაინაში, არ ასრულებს გაეროს რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტისა და უკრაინიდან ჯარის გამოყვანის შესახებ, ახლანდელი სანქციები დამანგრეველია.

მიმდინარე ომმა, ადამიანების (მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობის) უმოწყალო ხოცვისა და უკრაინის ნაწილის მიწასთან გასწორების გარდა, დაარტყა სხვა სახელმწიფოებს და სეპარატისტულ წარმონაქმნებს.

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შემდეგ ისევ დაიწყო გაუფასურება ქართულმა ლარმა, რომლის კურსი ბოლო დროს მყარი იყო.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ და აღიარებულ ცხინვალის რეგიონში შეინიშნება ფასების კატასტროფული ზრდა. ბევრი აფთიაქი დაიკეტა. ისინი ფასების მატების შემდეგ იხსნება. ბავშვის ტანსაცმლის მაღაზიაში აცხადებენ, რომ ფასები საბავშვო პროდუქციაზე მომწოდებელმა გაზარდა. განსაკუთრებულად გაძვირებულია მანქანების ავტონაწილები.

ცხინვალში ამას სანქციების გარდა, ტრანსკავკასიური მაგისტრალის გადაკეტვას უკავშირებენ.

უკრაინა და რუსეთი არიან ხორბლის ექსპორტიორები. მათი წილი მსოფლიო ექსპორტში თითქმის 30%-ს შეადგენს. შექმნილი სიტუაციის გამო ევროპელი ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პროგნოზირებენ როგორც პურის, ისე პარკოსნებისა და სოიას და სხვა სურსათის დეფიციტს.

რუსეთი და უკრაინა ყოფილან ლიდერები ნეონის წარმოებაში. ნეონი აუცილებელი კომპონენტია მიკროჩიპების გამოშვებისათვის. პრობლემა ექმნება ნახევარგამტარებს.

ბრიტანული წყაროების თანახმად, ევროპაში მუშაობენ რუსული გაზის ჩანაცვლებაზე. გეგმის მიხედვით, რუსულ გაზს უარი უნდა ეთქვას მომავალი ზამთრის სეზონის წინ. განიხილება გათხევადებული გაზის შემოტანა იაპონიიდან, აშშ-დან, ყატარიდან.

– ევროკავშირი ხვალიდანვე ვერ გახდება დამოუკიდებელი რუსეთის გაზისაგან, მაგრამ ის უნდა ცდილობდეს დამოკიდებულების შემცირებას ყველა შესაძლო მეთოდით, – აცხადებს ევროკავშირის დიპლომატიის მეთაური ბორელი.

გერმანული მედიის შეფასებით, რუსეთმა ევროპაში გაზის მიწოდება რომც არ შეამციროს და არ შეწყვიტოს, ენერგომატარებლების გაძვირებას ვერაფერი შეაჩერებს. აშშ-დან თხევადი გაზის შესყიდვა პრობლემას ვერ აგვარებს. უკრაინაში ვითარების ესკალაციისა და პუტინის მიერ გაზისა და ნავთობის მოწოდების შემცირების შემთხვევაში ევროპას გაზისა და ნავთობის დეფიციტი ემუქრება. ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარი სიმსონი საუბრობს ევროპის ენერგომარაგების სტაბილურობაზე. ამასთან, ის დასძენს, რომ ეს მიიღწევა კარგი ინფრასტრუქტურითა და ენერგომომარაგებით. უარი რუსულ გაზზე იქნება მძიმე დარტყმა, რომლის დაძლევა შესაძლებელია.

გერმანული გამოცემის ინფორმაციით, რუსეთიდან გაზის შეწყვეტის შემთხვევაში, ევროკავშირი აპირებს მის ჩანაცვლებას ნორვეგიული ან ამერიკული თხევადი გაზით, ასევე, აირით არაბული სამყაროდან. თხევად გაზს ესაჭიროება ახალი ტერმინალები.

თურქული გაზეთი „ჰურიეთი“ ეხება არასახარბიელო მოლოდინს ტურიზმის სფეროში. სასტუმროების მეპატრონეები თურქეთში ფიქრობენ, უკრაინული კრიზისი დარტყმას მიაყენებს ტურისტების ნაკადებს არა მარტო რუსეთიდან და უკრაინიდან, არამედ, ევროპიდანაც.

თურქმა ოტელიერებმა გადაიტანეს პანდემიით გამოწვეული სიძნელეები. მათ ტურიზმის გამოცოცხლების იმედი ჰქონდათ. განსაკუთრებულად ელოდნენ დამსვენებლებს უკრაინიდან და რუსეთიდან. ამ ვითარებაში ისინი არ გამორიცხავენ ტურისტების რაოდენობის კლებას ევროპიდანაც კი.

ალბათ, ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან სამასპინძლო ბიზნესის ქართველი წარმომადგენლები.

„რუსეთიდან ვინც შემოდის, ყველას პუტინის მთავრობა აფინანსებს“

მამუკა გვაძაბია: „13 ოქტომბერს შევიტანე პარლამენტში საინიციატივო პაკეტი, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის შეეზღუდათ საქართველოში მიწების და ბინების ყიდვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.



– ბატონო მამუკა, ძალიან მძიმე რეალობის წინაშე გვიწევს ცხოვრება. უმძიმეს დღეებს გადის უკრაინა უკვე მე-11 დღეა. როგორია თქვენი შეფასებები განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? რა მოლოდინები გაქვთ?

– გარკვეული მიზეზების გამო, მომიწია რუსეთში ცხოვრება და კარგად ვიცნობ მათ პოლიტიკას. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შიგნიდან გაცნობა. რუსეთში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ურჩევნია არაყსა და შავ პურზე იჯდეს და არ შეცვალოს არაფერი. ახლაც, გამოკითხვების მიხედვით, პუტინის ამ ქმედებას რუსეთის მოსახლეობის 60-70% მხარს უჭერს. თქვენ წარმოგიდგენიათ, მართლაც რა ურდოს აზროვნებასთან გვაქვს საქმე. 300 წელი ბატონობდნენ მონღოლები ამ ტერიტორიაზე და ამ სისხლმა და აზროვნებამ თავისი კვალი დატოვა. დღეს უკრაინაში შესული ჯარების უმრავლესობა სწორედ მონღოლოიდური რასის ხალხია. ახლა რატომ გადადგა პუტინმა ეს ნაბიჯი?!

– რატომ?

– მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძალიან სერიოზულ რესურსებს პუტინის რუსეთი, ამ ნავთობიდან და გაზიდან მიღებული შემოსავლიდან ხარჯავს, მათ შორის, დასავლეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მოსყიდვაზე. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ამას. მოსყიდული ყავდა დასავლელი პოლიტიკოსები, რათა აქამდე მისული ამბების ფონზე, დასავლეთში მოახერხოს განხეთქილების შეტანა. ამას აქამდე წარმატებით ახერხებდა პუტინი.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– პუტინმა დასავლეთში გარკვეულწილად დასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტის მოსყიდვა მოახერხა. პირველ ეტაპზე იყვნენ ქვეყნები, რომლებიც არ უერთდებოდნენ რუსეთის სვიფტიდან გამორთვას და გარკვეულწილად ჩანდა, რომელი ქვეყნებია და რომელი პოლიტიკოსები. ინგლისის სადაზვერვო სამსახურის და ამერიკის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლობის შედეგად, მათ აქვთ სრული მონაცემები იმისა, თუ ვისი მოსყიდვა შეძლო პუტინმა დასავლურ პოლიტიკურ წრეებში. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, პირდაპირ დაუდეს ფაქტები დასავლეთში ზოგიერთ ვაიპოლიტიკოსს. ფაქტიურად ევროპის ნაწილი, პუტინს მოსყიდული ყავდა. მათ წინ დაუდეს ფაქტები, თუ როგორ კორუფციულ გარიგებებში არიან ესა თუ ის პიროვნებები რუსეთთან. სწორედ ეს გათვლა ჰქონდა პუტინს, რომ დასავლეთი არ იქნებოდა ერთიანი. სამწუხაროდ, ტრამპმა მისი პრეზიდენტობის დროს მოახერხა ის, რომ ფაქტიურად ნატო აღარ არსებობდა. პუტინს დასავლეთიდან მისი სადაზვერვოს საშუალებით ჰქონდა ინფორმაციები და ის დარწმუნებული იყო, რომ უკრაინაში კონფლიქტის გაჩაღების შემთხვევაში ერთიანი პოზიცია არ ექნებოდა დასავლეთს.

– ყოველთვის სარგებლობდა რუსეთი ამ სიტუაციით, თუნდაც 2008 წელსაც არ ყოფილა დასავლეთი ერთიანი. ყოველთვის თავს იძვრენდა სერიოზული სანქციებისგან.

– დიახ, ასე იყო. ახლაც ეგონა, იგივე განმეორდებოდა, მაგრამ ძალიან შეცდა. დასავლეთი დღეს არის ერთსულოვანი.

– პუტინს ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში არ იქნებოდა მსოფლიო ერთსულოვანი და ის მარტივად დაიკავებდა უკრაინას?

– დიახ, ასე იყო. მოლოდინი ჰქონდა იმიტომ, რომ ძალიან დიდი რესურსი ჰქონდა დახარჯული დასავლელ პოლიტიკოსებზე, მათ მოსყიდვაში. ისინი, თავის მხრივ, ეუბნეოდნენ, რომ უკრაინაში ომის შემთხვევაში მსოფლიო ერთიანი არ იქნება.

– თუმცა დღეს სულ სხვა რეალობაა. თითოოროლა ქვეყნის გარდა, მსოფლიო ერთიანია.

– დიახ, მსოფლიო ერთიანია. პუტინი სასტიკად შეცდა. შეცდა იმ მონაცემების გამო, რომელსაც დაზვერვა აწვდიდა. დღეს გვაქვს ძალიან სახიფათო მოცემულობა.

– რა მოცემულობის წინაშე ვართ დღეს? რამდენად არის იმის საფრთხე, რომ პუტინმა შეასრულოს მუქარა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით?

– ბირთვული იარაღის გამოყენება ასე მარტივი არ არის, რომ პუტინმა ღილაკს დააჭიროს და მორჩა, რაკეტა გაფრინდეს. იქ რამდენიმე ინსტანცია უნდა გაიაროს, თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბი, არმიის სარდალი. ოთხი თუ ხუთი ინსტანცია უნდა გაიაროს ამ ბრძანების გაცემის შემდეგ. როგორც ექსპერტები და საქმეში ჩახედული პირები ვარაუდობენ, ამას პუტინი ვერ მოახერხებს. ისევ ექსპერტების დასკვნებს დავეყრდნობი და არის იმის ძალიან მაღალი ალბათობა, რომ პუტინის ბრძანების გაცემიდან, რაკეტის გაშვებამდე, ამერიკის შემაკავებელი იარაღი მოქმედებაში მოვა. პუტინი ვერ შეძლებს მისი ზრახვის განხორციელებას. მისი მხრიდან ეს არის ბირთვული შანტაჟი, რომლის გარდა, პუტინს სხვა არაფერი დარჩენია. დღეს პუტინი თავისი ოჯახით ბუნკერში იმალება. დიახ, სიტუაცია ძალიან სახიფათოა, მაგრამ სპეციალისტების და ექსპერტების მოსაზრებით, პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებას ვერ შეძლებს.

– ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციას რაც შეეხება. საზოგადოება შეშინებულია, ვრცელდება ინფორმაციები, რომ რუსეთის მოქალაქეებით გაივსო დიდი ქალაქები. თქვენ ამაზე არაერთხელ ისაუბრეთ და პარლამენტსაც მიმართეთ, მიეღოთ შესაბამისი კანონი. ახლა რა ვითარებაა ამ მხრივ?

– როდის დავიწყე ამაზე საუბარი. 13 ოქტომბერს შევიტანე პარლამენტში საინიციატივო პაკეტი, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის შეეზღუდათ საქართველოში მიწების და ბინების ყიდვა. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ეს კანონი ახლა ხელში რომ გვქონდეს, ხომ არ იქნებოდა ამდენი პრობლემა და შიში ჩვენი მოსახლეობის?! ხელისუფლებამ არ მომისმინა, მაგრამ ჩემს გაოგნებას რა იწვევს იცით? პირადად მივმართე ოპოზიციონერ ლიდერებს და ყურად არ იღეს, არც ნაყოფიამ, არც მელიამ, არც ელენე ხოშტარიამ და არც დანარჩენებმა. სიტუაციიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ვერ ვენდობოდი და ამიტომ მივმართე საჯაროდ ოპოზიციონერ ლიდერებს, თუმცა არც მათ იღეს ყურად ეს ჩემი საკანონმდებლო ინიციატივა. მასობრივად მოდიან რუსები დღეს საქართველოში და ყველა მოდის ფულიანი. განა თავისი დანაზოგებით, არა, მოდის სახელმწიფო ბიუჯეტით. რუსეთი აფინანსებს მათ და ისინი, როგორ შეიძლება აქ კარგი საქმისთვის მოდიოდნენ. იმის მაგივრად, რომ საქართველო ღებულობდეს მართლა გაჭირვებულ ადამიანებს, ლტოლვილებს უკრაინიდან, საქართველოში ყოველგვარი კონტროლის გარეშე შემოდის პოტენციური მეხუთე კოლონა, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას და, მომავალში აქ ისე მომრავლდნენ, რომ არ არის გამორიცხული, მოითხოვონ რუსული ენის ოფიციალურ ენად გამოცხადება. ეს ყველაფერი კი სახელმწიფოს ხელშეწყობით ხდება.

– ჩვენი ხელისუფლების პოზიციაზე რას იტყვით?

– ჩვენს ხელისუფლებას სამარცხვინო პოზიცია უჭირავს. ამ ხნის კაცი ვარ და ასე არასდროს შემრცხვენია. ბევრი მეგობარი მყავს უკრაინაში და მათაც ძალიან კარგი წარმოდგენა აქვთ ქართველებზე. საქართველოს სანქციები რუსეთს წელში კი არ გადატეხავდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ეს პოლიტიკური ჟესტი იყო.

– საუბარია, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გააჟღერაო. ასეა?

– ზუსტად რომ ასეა. ივანიშვილის პოზიცია გააჟღერა. როდესაც ევროკავშირში გაწევრიანების განცხადებას მოაწერა ხელი, მე 100%-იანი ინფორმაცია მაქვს წყაროდან, ივანიშვილის მოთხოვნა იყო, რომ ამ განაცხადისთვის ღარიბაშვილს ხელი მოეწერა. ეს გადაწყვეტილება ივანიშვილმა იმიტომ მიიღო, რომ რუსეთში დაიწყო ოლიგარქების ქონების დაყადაღება. „ოცნება“ არ აპირებდა რუსეთთან სიტუაციის დაძაბვას, ივანიშვილის პოზიციაც ასეთი იყო, მაგრამ მან შეცვალა თავის გადაწყვეტილება და სწორედ ივანიშვილის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გააკეთეს განაცხადი. ზუსტი ინფორმაცია მაქვს, რომ ივანიშვილს კომუნიკაცია ჰქონდა ირაკლი კობახიძესთან და სწორედ მან მოიტანა ივანიშვილის მესიჯი „ქართულ ოცნებაში“.

რუსეთი ქართულ საწარმოებს რძის ნაწარმის შეტანას სთავაზობს

რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის სამსახური (როსსელხოზნადზორი) 15 ქართულ საწარმოს სთავაზობს რუსეთში რძის ნაწარმის შეტანას. ნედლი პროდუქციის შეტანა ერთ აზერბაიჯანულ კომპანიასაც შეეძლება. ინფორმაციას სააგენტო „ტასი“ უწყებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

უწყება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის არაწევრი მესამე ქვეყნების მეწარმეთა რეესტრში ცვლილებებს შეიტანს.

როსსელხოზნადზორის განმარტებით, გადაწყვეტილება 5 მარტის მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს, რომელიც შედგა როსსელხოზნადზორის ხელმძღვანელს სერგეი დანკვერტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს ზურაბ ჩეკურიშვილს, ასევე მის აზერბაიჯანელ კოლეგას შორის.

ქვეყნებს პროდუქციის მიწოდება შეეძლებათ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნების თანხმობის შემდეგ.

აღნიშნული უკრაინის უმაღლეს რადაში ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარემ, დავით არახამიამ, უკრაინელებისთვის „ზურგში დანის ჩარტყმად“ შეაფასა.

მან ვიდეომიმართვა გაავრცელა და საქართველოს მოქალაქეებს სთხოვა, ეს საკითხი ხელისუფლებასთან გაარკვიონ.

– მსურს მივმართო ქართველ ხალხს, პირველ რიგში კი, საქართველოს ხელისუფლებას. ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა ქართულ რძესა და ღვინოზე ეკონომიკური სანქციები მოხსნა, რათა უკრაინაში ომის დროს საქართველოს კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ქართველი ვარ და ყველა ქართველს მსურს შევახსენო, როდესაც რუსეთი მოღალატურად თავს დაესხა საქართველოს, უკრაინამ უმალვე, თავისი ეკონომიკური დანაკარგის გაუთვალისწინებლად, საქართველოს ყოველგვარი აუცილებელი მხარდაჭერა გამოუცხადა – მისცა შეიარაღება, დაეხმარა სამხედრო ინსტრუქტორებით, რათა მეგობარ, მომმე ერს გვერდში დასდგომოდა.

თქვენი აზრით, ახლა, როდესაც რუსეთი უკვე უკრაინას დაესხა თავს, საქართველომ უკრაინას ნორმალურად უპასუხა? გთხოვთ, ქართველო ხალხო, თქვენი მჯერა – გაარკვიეთ თქვენს ხელისუფლებასთან, გადაწყვიტეთ ეს საკითხი, რადგან ასეთი ღალატისა და ზურგში ჩარტყმული დანის ხილვას ქართველი ხალხის მხრიდან არ ვისურვებდით. ყოველთვის ვამაყობდი, რომ ქართველი ვარ და ვცხოვრობ უკრაინაში და აქაურ ხელისუფლებაში ვარ. დღეს ნამდვილად მრცხვენია, – განაცხადა დავით არახამიამ.

„ბე“-ს ჩაგირიცხავთ, თქვენი კარტის სურათი გამოგვიგზავნეთ“

თაღლითური სქემა, რომლითაც 5.000 ლარი მიითვისეს

„ბე“-ს ჩაგირიცხავთ, თქვენი კარტის სურათი გამოგვიგზავნეთ“-ო – ამის შესახებ სოციალური ქსელის მომხმარებელი მარეხი მამულაშვილი ფეისბუქში წერს და მოსახლეობას თაღლითური სქემის შესახებ ინფორმაციას აწვდის.

მისი თქმით, უცნობმა პირებმა მოტყუებით ხუთი ათასი ლარი მიითვისეს.

„მეგობრებო, წაიკითხეთ სტატუსი და იყავით ფრთხილად! ჩემი ახლობელი ყიდდა მანქანას, განათავსა სურათი ინტერნეტში. დაურეკეს ღამე და უთხრეს, რომ ყაზახები იყვნენ და უნდოდათ ყიდვა. „ბე“-ს ჩაგირიცხავთ, თქვენი კარტის სურათი გამოგვიგზავნეთო.

მანქანის პატრონმა გაუგზავნა საქართველოს ბანკის ბარათის სურათი, ბარათზე არ იყო თანხა. რამდენიმე ხანში კიდევ დაურეკეს, ოთხნიშნა ციფრი მოგვიდოდათ და გვითხარითო, ამათმაც პატიოსნად უთხრეს ეს ციფრი. ცოტა ხანში მოუვიდათ მესიჯი, თქვენ დაგიმტკიცდათ სესხი 35 ათასი ლარიო. აქ, რასაკვირველია, მიხვდნენ, რომ აფიორასთან ჰქონდათ საქმე, სასწრაფოდ დარეკეს ცხელ ხაზზე და სანამ იქ ოპერატორმა დაბლოკა კარტა, ამ თაღლითებმა მოასწრეს თანხის ორჯერ მოხსნა და სხვადასხვა ანგარიშებზე გადარიცხვა. 5 ათასი ლარი გაიტანეს.

საქართველოს ბანკი ვერ შველით ვერაფერს. ის 5 ათასი ამათი გადასახდელია. დანარჩენი 30.000 უნდა გამოიტანონ და მაშინვე დააბრუნონ, რომ გასტუმრებული იყოს. ამხელა ოპერაცია ვინ და როგორ ჩაატარა, ვინ იყო, ვისაც წუთებში დაუმტკიცდა ონლაინ სესხი 35 ათასი ლარის ოდენობით, ეგ სამართალდამცავების საქმეა და, იმედია, ჩაავლებენ მაიმუნებს კისერში ხელს.

მანამდე კი თქვენ გაფრთხილდით.

ერთი ისტორიაც ასეთია, ხალიჩა დადო ქალბატონმა ინტერნეტში გასაყიდად და მასაც ზუსტად იგივე გაუკეთეს.

მოკლედ, არ ენდოთ არავის“ – წერს სოციალური ქსელის მომხმარებელი.

მამაკაცს, რომელიც მანქანას ბენზინით ავსებდა, სიგარეტი ავზში ჩაუვარდა

ინფო რუსთავის ინფორმაციით, VII მიკრორაიონში მანქანა დაიწვა.

ავტომობილს ცეცხლი მაშინ წაეკიდა როდესაც ავზში ბენზინს ასხამდნენ, არსებული ინფორმაციით, მამაკაცს, რომელიც ავზს ავსებდა, მოულოდნელად, სიგარეტის ნამწვი ბენზინში ჩაუვარდა და ავზი მალევე აალდა.

ადგილზე გამოიძახეს სახანძრო სამაშველო სამსახურის ეკიპაჟი.

ცეცხლის ლოკალიზება მალევე მოხერხდა, თუმცა ავტომობილის ნაწილი დაიწვა.

„ალტ-ინფო“ რუსეთისა და პუტინის დანაშაულის გამმართლებელი სუბიექტია“

„დემოკრატიულმა ინიციატივამ“ კომუნიკაციების კომისიას მიმართა

ალტ-ინფოს წინააღმდეგ ახალი სამართლებრივი დავა იწყება. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა კომუნიკაციების კომისიას მიმართავს და კრემლის პროპაგანდისტული მედიასაშუალების სამართალდამრღვევად ცნობას ითხოვს.

– ალტ-ინფო დღეს არის რუსეთის და პუტინის ადამიანურობის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამმართლებელი სუბიექტი. ეს სტატუსი მათ უნდა ჰქონდეთ ოფიციალურადაც, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. რაც შეეხება სანქციას, ვფიქრობ, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, კომისიამ უნდა გააანალიზოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიმართ არსებული საფრთხეები და გადაწყვეტილება სწორედ ამის შემდეგ სწორად გამოიტანოს, – თქვა დემოკრატიული ინიციატივების თავმჯდომარემ, ედუარდ მარიკაშვილმა.

მესამე სექტორი თანხმდება, რომ ახლა საქმეში საგამოძიებო უწყებები, მათ შორის, უსაფრთხოების სამსახურიც უნდა ჩაერთოს, რადგან ალტ-ინფოს ქმედებებში კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იკვეთება.

– უსერიოზულესი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, უკრაინაში კატასტროფა ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დროულად დაბლოკოს კრემლისტური მედიები და, ასევე, დაიწყოს უსაფრთხოების სამსახურმა, პროკურატურამ ეფექტური გამოძიება.

ეს პრაქტიკულად არ არის მედია საშუალებები, არა მხოლოდ ჰიბრიდული ომის ნაწილია, არამედ რაღაც ფორმით მოძალადე ჯგუფები არიან და სახელმწიფომ უნდა გასცეს პასუხი, – თქვა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროგრამის მენეჯერმა, მამუკა ანდღულაძემ.

გორში სტალინის ძეგლი უთავოდ დატოვეს

გორის რაიონის სოფელ ვარიანში სტალინის ძეგლი თავის გარეშე დატოვეს.

ძეგლი სოფელ ვარიანში რამდენიმე კვირის წინ გაჩნდა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ ძეგლი თავიანთი სურვილით მოსახლეობამ დადგა.

ვიდრე სტალინის ძეგლს თავის გარეშე დატოვებდნენ, სამოქალაქო აქტივისტებმა ის, პროტესტის ნიშნად, წითლად შეღებეს.

სპეციალური საგამოძიებოს უფროსმა კოკა კაციტაძემ მოადგილეები წარადგინა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ მოადგილეების პოზიციაზე გიორგი კვარაცხელია და ნათია სონღულაშვილი წარადგინა.

როგორც კოკა კაციტაძემ აღნიშნა, ორივე მოადგილეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საგამოძიებო და საპროკურორო მიმართულებით მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის.

– სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს კიდევ ორი პროფესიონალი შემოუერთდა. თანამშრომლებს მოადგილეების პოზიციაზე გიორგი კვარაცხელია და ნათია სონღულაშვილი წარვუდგინე. ორივეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საგამოძიებო და საპროკურორო მიმართულებით მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის.

შეხვედრაზე ვისაუბრეთ არსებული სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და სამსახურის განვითარების ხედვის შემუშავებაზე. გამოვთქვით დიდი სურვილი და მზაობა თანამშრომლების აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით განსახორციელებელი რეფორმების პროცესში, – განაცხადა კაციტაძემ.

პროკურორი ნიშნიანიძე: „ჟურნალისტებზე მოძალადეების მიმართ ბრალდებამ მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა“

ჟურნალისტების მიმართ 5 ივლისს განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულების საქმეზე სახელმწიფო ბრალდებამ მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა.

4 მარტის სასამართლო პროცესზე ნივთიერი მტკიცებულებები გამოიკვლიეს. ამასთან, ბრალდებულებმა სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს და, შესაძლოა, მათი ჩვენებები როგორც დაცვის მხარის მტკიცებულებები, ისე გამოიკვლიონ.

– ნივთიერი მტკიცებულება, ზაზა ჭაავას მოპედი წარვადგინეთ, რომლითაც მან ძალადობრივი ქმედება განახორციელა „რუსთავი2“-ის ჟურნალისტზე, თამარ თათარაშვილზე და მას ხელი შეუშალა სამსახურებრივი მოვალეობის სრულფასოვნად შესრულებაში. გარდა ამისა, ერთ-ერთი ვიდეოჩანაწერი გამოვიკვლიეთ, რომელიც გამოთხოვილია კლასიკური გიმნაზიიდან, აღნიშნულ ჩანაწერებში დაფიქსირებული არის ორი ბრალდებული.

ასევე გამოვიკვლიეთ „ფორმულადან“ გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერი, სადაც დაფიქსირებულია ფოტოგრაფზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედება. აღნიშნულს ადასტურებს არა ბრალდებულების ვიზუალური აღწერილობა, არამედ მათი ტანსაცმელი. ერთ მომენტში ისინი ტანსაცმელს იცვლიან, რომ მათი იდენტიფიცირება არ მომხდარიყო, – განაცხადა პროკურორმა გრიგოლ ნიშნიანიძემ.

ცნობისთვის, რუსთაველის გამზირზე, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივ ქმედებებზე და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით მიმდინარეობს. ეპიზოდზე, რომელშიც 27 ბრალდებულია, 53 კი დაზარალებული.

საერთო ჯამში, საქმეს 31 ბრალდებული და 57 დაზარალებული ჰყავს.

რუსთავში ერთმანეთს 3 ავტომობილი დაეჯახა

ინფო-რუსთავის ინფორმაციით, ლომოურის ქუჩაზე ერთმანეთს 3 ავტომობილი დაეჯახა.

შეჯახება საკმაოდ ძლიერი იყო, სამივე ავტომობილი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების, საპატრულო პოლიციისა და სამაშველო სამსახურის რამდენიმე ეკიპაჟი.

თვითმხილველების თქმით, ერთ-ერთ ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირი მართავდა.

ზაზა ბიბილაშვილს და ზურაბ ხომერიკს სასამართლომ გაფრთხილება დააკისრა

თელავში უკრაინის სოლიდარობის აქციაზე დაკავებული პირები, თელავის რაიონულმა სასამართლომ სამართალდამრღვევებად ცნო.

მოსამართლე გრიგოლ ვატიტაძემ გირჩი – მეტი თავისუფლების წევრს, ზურაბ ხომერიკსა და პოლიტიკოს ზაზა ბიბილაშვილს, ადმინისტრაციული სახდელის სახით, გაფრთხილება დააკისრა.

ზაზა ბიბილაშვილის ადვოკატის, საბა ცაგარეიშვილის, განმარტებით, მოსამართლემ გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი პირის ჩვენებისა და ერთი ვიდეოს გამოკვლევის საფუძველზე მიიღო.

– სასამართლომ ორივე ცნო სამართალდარღვევად და გაფრთხილება შეუფარდა. მე არ ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილება სწორია, რადგან არც ერთს კანონი არ დაურღვევია. ერთი მოწმე დაკითხეს და ერთი ვიდეო გამოიკვლიეს, სადაც დაკავება იყო ასახული. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რადგან დაკავების ვადის, 48 საათის, სრულად გამოყენება, არ იყო დასაბუთებული, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

შეგახსენებთ, ორი პირი პოლიციამ თელავში, უკრაინის მხარდამჭერ აქციაზე, 26 თებერვალს დააკავა.

გორში ნაციონალების ოფისს თავს დაესხნენ

თავდასხმა მოხდა ნაციონალური მოძრაობის ოფისზე გორში – უცნობმა პირებმა შენობის ფასადი წითლად შეღებეს და რუსული წარწერები დატოვეს.

შემთხვევა 4 მარტს, გამთენიისას მოხდა.

ვიდეო კამერების ჩანაწერებში ჩანს, როგორ აზიანებს უცნობი პირი ოფისს. მას, სავარაუდოდ, მითითებებს კონკრეტული პიროვნება აძლევდა.

ენმ-ში ამბობენ, რომ ეს პრორუსული, ძალადობრივი „ალტ-ინფოს“ და ხელისუფლების ერთობლივი ნამუშევარია. პარტიაში იმედი არ აქვთ, რომ მომხდარს შსს გამოიძიებს.

ცნობისთვის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც გორში ენმ-ის ოფისს თავს ესხმიან და არბევენ.

ხე-ტყის უკანონო მოპოვების 205 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2022 წლის 1 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 205 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 9 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი – 40 ფაქტი გამოვლინდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე; კახეთში დაფიქსირდა 37 სამართალდარღვევა, სამცხე-ჯავახეთში – 33, იმერეთში – 29, ქვემო ქართლში – 24, შიდა ქართლში – 17, მცხეთა-მთიანეთში – 16, აჭარაში – 3, გურიაში კი 2 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

რაც შეეხება დედაქალაქს, 2022 წლის 1 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით, თბილისში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 4 ფაქტი გამოვლინდა.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 690 კუბურ მეტრამდე ხე-ტყე.

ამავე პერიოდში დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 42 ფაქტი. ასევე, ამოღებულია 3 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო.

ვარკეთილში საცხოვრებელი ბინა დაიწვა

4 მარტს ხანძარი იყო ვარკეთილში – დამწვარია ბინა.

ცნობილი ხდება, რომ სახლში ორსული ქალი იყო, რომელმაც, დაკვამლიანების შემჩნევის შემდეგ, სახლის დატოვება მოასწრო.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია.

ზელენსკი: „რუსეთი ოდესის დასაბომბად ემზადება“

რუსეთი ოდესის დასაბომბად ემზადება. ამის შესახებ გუშინ, 6 მარტს, ბრიფინგზე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, პირველი ჩვენებები მისცეს რუსეთის ჩამოგდებული თვითმფრინავების მფრინავებმა.

გარდა ამისა, უკრაინის დამცველებმა მიიღეს რუკები, რომლებიც ადასტურებს, რომ უკრაინაზე შეტევა და უკრაინული ქალაქების დაბომბვა რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ თავიდანვე დაიგეგმა.

– ისინი ოდესის დასაბომბად ემზადებიან. რუსები ყოველთვის ჩადიოდნენ ოდესაში, იქ მხოლოდ სითბოს გრძნობდნენ. ახლა კი რა? ოდესის წინააღმდეგ ბომბები, არტილერია ოდესის წინააღმდეგ? რაკეტები ოდესის წინააღმდეგ? ეს იქნება სამხედრო დანაშაული. ეს იქნება ისტორიული დანაშაული, – განაცხადა ზელენსკიმ.

ბრიტანეთი: „რუსების წინსვლა მნიშვნელოვნადაა შემცირებული“

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსეთის მიერ დასახლებული ტერიტორიების დაბომბვა ადგილობრივთა მორალურ გატეხვას (დასუსტებას) ემსახურება.

თავდაცვის სამინისტრო დაზვერვის ყოველდღიურ ანგარიშში აცხადებს, რომ უკრაინის წინააღმდეგობამ რუსები გააოცა.

სამინისტროს ცნობით, რუსეთმა სწორედ ამის საპასუხოდ ამოიღო სამიზნეში ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიც არის ხარკოვი, ჩერნიგოვი და მარიუპოლი.

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის მიერ ქალაქების დაბომბვა ჰგავს 2016 წელს სირიასა და 1999 წელს ჩეჩნეთში მათ სტრატეგიასა და ჩატარებულ სამხედრო კამპანიებს, როდესაც რუსეთის სამხედროებმა დასახლებული ტერიტორიების ინტენსიური დაბომბვა განახორციელეს.

ამასთანავე, ანგარიშში ნათქვამია, რომ უკრაინამ რუსეთის მომმარაგებელ ხაზებს შეუტია, რის გამოც რუსეთის წინსვლა მნიშვნელოვნად არის შენელებული.

გაერო: უკრაინაში 350-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა

24 თებერვალს რუსეთის სამხედრო შეჭრის დაწყებიდან უკრაინაში 350-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის 28 ბავშვი და 707 ადამიანი დაშავდა.

მონაცემებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი ავრცელებს.

სტატისტიკა რეგიონების მიხედვით: დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში 86 დაიღუპა და 385 დაიჭრა. კერძოდ, 355 – უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, 116 – ოკუპირებულ ტერიტორიაზე. უკრაინის სხვა რეგიონებში 265 დაიღუპა და 322 დაშავდა.

ადამიანის უფლებათა ბიუროს ცნობით, მსხვერპლის უმეტესობა დიდი ფართობის ასაფეთქებელი იარაღით, მათ შორის, მძიმე არტილერიით და მრავალჯერადი სარაკეტო თავდასხმებით, ასევე სარაკეტო და საჰაერო დარტყმებით არის გამოწვეული.

შეგახსენებთ, რომ 3 მარტს დასახლებულ პუნქტებზე რუსი სამხედროების მიერ საჰაერო დარტყმების შედეგად ჩერნიგოვში, სულ მცირე, 47 ადამიანი დაიღუპა.

იმავე დღეს, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება დაიწყო.

„დროა, დავარტყათ ჩაქუჩი, მთლიანად დავხუროთ ეკონომიკა რუსეთში“

ჯიმ რიშის განცხადება

უკრაინაში რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით, ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ვაშინგტონმა პოზიციები უნდა გაამკაცროს.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას ითხოვენ ამერიკელი კანონმდებლებიც.

– დროა, დავარტყათ ჩაქუჩი, მთლიანად დავხუროთ ეკონომიკა რუსეთში და მეტი გავაკეთოთ უკრაინის თავდაცვისთვის, – ამბობს ამერიკელი სენატორი რესპუბლიკური პარტიიდან, ჯიმ რიში.

მოსკოვში მასობრივი პროტესტი დაიწყო

ხალხი უკრაინასთან ომის წინააღმდეგია

მოსკოვში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო – ვრცელდება ვიდეოკადრები, სადაც ჩანს, რომ რუსეთის მოსახლეობა უკრაინასთან ომს აპროტესტებს.

კადრებში ასევე ჩანს, რომ დემონსტრანტებს აქციის მიმდებარედ, ქუჩაში მიმავალი მანქანებიდანაც ამხნევებენ – საკუთარ პროტესტს მძღოლები ავტომობილის სიგნალებით გამოხატავენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დინამო ბათუმი და თელავი ქულადაუკარგავად და გოლგაუშვებლად ლიდერობენ

დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 3:0

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

1:0, 2:0 ფლამარიონი (11, 24), 3:0 ბიძინაშვილი (64)

დინამო (ბთ): კუპატაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, აზაცკი (ნავალოვსკი 77), აზაროვი, ფალავანდიშვილი, ალთუნაშვილი, ვ.გაფრინდაშვილი (ჩაბრაძე 77), ზარია (ანანიძე 59), ჯიღაური (ბიძინაშვილი 59), ფლამარიონი (ლობჟანიძე 69)

დინამო (თბ): კერესელიძე (პრიეტო 15), კალანდაძე (ხარაბაძე 68), პაპავა, ხვადაგიანი, მალი, კამარა (გაბედავა 68), მექვაბიშვილი, მოისწრაფიშვილი (თ.კირკიტაძე 46), ბარნსი, ანტილევსკი, ბილენკი (ბენიო 46)

ბათუმის დინამომ დიდი ანგარიშით ზედიზედ მე-2 შეხვედრა მოიგო. გასული სეზონის ჩემპიონებმა მიმდინარე სეზონში უშუალო კონკურენტ თბილისის დინამოს 3:0 მოუგეს.

მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას. ანგარიში მე-11 წუთზე ჯოვინო ფლამარიონმა გახსნა. აღსანიშნავია, რომ პირველი გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებს იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუწიათ. ტრავმის გამო კახაბერ ცხადაძემ გუნდის მეკარე დავით კერესელიძე შეცვალა.

ფლამარიონმა კიდევ ერთი გოლი 24-ე წუთზე შეაგდო და სეზონში პირველი დუბლი გაიფორმა. ბრაზილიელმა არ მოისვენა და 64-ე წუთზე მე-3 გოლი ირაკლი ბიძინაშვილს გაატანინა. საბოლოოდ, მატჩის ასე მორჩა – 3:0.

ამრიგად ბათუმის დინამომ 2 მატჩის ჯამში 6 ქულა მოაგროვა და გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ და გოლგაუშვებლად ლიდერობს.

აღსანიშნავია, რომ მატჩს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი, მისი თანაშემწე ზურაბ ხიზანიშვილი და სფფ-ის გენერალური მდივანი დავით მუჯირი ესწრებოდნენ.

სიონი-თელავი 0:2

ბონისი. თამაზ სტეფანია

0:1 კვერნაძე (47), 0:2 ქოჩლაძე (68)

სიონი: ისიანი, კორიფაძე (ტვილდიანი 72), გადრანი (ჯაფიაშვილი (51), კილასონია, ნემსაძე, მაჩაიძე, ლ.ხორხელი (დე ლა სოუზა 61), ნ.ხორხელი, ზურაბიანი (დუმბია 61), ჩუკვურა (ჩაგანავა 72), თ.ტაბატაძე

თელავი: ბეზკროვნი, ც.კაპანაძე, თოლორდავა, თევზაძე, ფაცაცია, მარაქველიძე, ქანთარია, აშორტია, ქოჩლაძე (პავიშიჩი 72), მახარობლიძე (გ.კვერნაძე 46), გოშთელიანი (მუჯირი 46)

ბათუმელთა მსგავსად, უდანაკარგო და გოლგაუშვებელია თელავიც. გიორგი ჭელიძის გუნდმა ეროვნულ ლიგაში ზედიზედ 2 მატჩი მოიგო და ორივე სტუმრად. კახელთა საპირისპიროდ, 2 წაგება აქვს სიონს.

სტუმრებმა ანგარიში მე-2 ტაიმის სტარტზევე გიორგი კვერნაძის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. 2-მდე უპირატესობა კი, ლაშა ქოჩლაძემ გაზარდა. თელავი ბათუმის დინამოსთან ერთად ორი ტურის შემდეგ 6 ქულით გათამაშების ცხრილს ლიდერობს.

ტორპედო-დილა 1:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ბუღრიძე (4)

ტორპედო: კვასხვაძე, სანდოხაძე, ნადარაია, ქიმაძე, ვ.ტაბატაძე, მანჯგალაძე, გ.კუხიანიძე, შულაია, პაპუნაშვილი (ცინცაძე 63), ბუღრიძე (კარაგუნისი 86), მჭედლიძე (ახვლედიანი 63)

დილა: ბულისკერია, სილვა, ნონდი, ჭიჭინაძე, გ.გაფრინდაშვილი, გაგნიძე, სანტოსი, მოსიაშვილი (ტავარეში 73), ივანიაძე (გომისი 46), მაქაცარია (მადინგა 63), ღუდუშაური (დრამე 81)

ტორპედომ პირველი ტურისგან განსხვავებით რადიკალურად სხვა ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებულად მოიგო.

მატჩის ერთადერთი გოლი დასაწყისშივე გავიდა – გორელი მცველი შეცდა და ლევან მჭედლიძის პასის შემდეგ ირაკლი ბუღრიძემ შეაგდო.

ამის შემდეგ მომენტები უფრო ტორპედოს ჰქონდა, გორელებს ერთადერთხელ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ნადარაიამ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

საბოლოოდ, რიონისპირელებმა სეზონში პირველი 3 ქულა ჩაიწერეს.

სამგურალი-ლოკომოტივი 3:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 შეყილაძე (38), 1:1 რუხაძე (73პ), 2:1 ჩიხლაძე (78), 3:1 რუხაძე (86)

სამგურალი: შოვნაძე, ქურდაძე (კალანდარიშვილი 46), მაისაშვილი, პატარკაციშვილი, კიკაბიძე, მ.ბაშალეიშვილი, ტურე (ა.ვერულიძე 46), რუხაძე, გავაშელიშვილი (დოლიძე 56), ჩიხლაძე (სიმდიაკინი 82), ჯერალდო (ბურჯანაძე 82)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ქველაძე, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, ჯაფარიძე (მუკბანიანი 85), დარცმელია, ძებნიაური, სამურკასოვი (ზოსიაშვილი 64), ომარაშვილი, იაკობიძე (აწყურელი 64), შეყილაძე (ჭიაბრიშვილი 72)

პირველი 3 ქულა მოიპოვა წყალტუბოს სამგურალმაც, რომელმაც მე-2 ტურის შეხვედრაში ლოკომოტივი 3:1 დაამარცხა.

არადა, პირველი ტაიმი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა – 38-ე წუთზე ლოკომოტივი შოთა შეყილაძემ დააწინაურა.

მე-2 ტაიმში სამგურალმა მეტოქეს 3 უპასუხო გოლი გაუტანა და მნიშვნელოვანი 3 ქულაც მოიპოვა. ლოკომოტივის წინააღმდეგ დუბლი ირაკლი რუხაძემ გაიფორმა, ერთი გოლი კი დემურ ჩიხლაძემ გაიტანა.

ვილი სანიოლი ამ მატჩსაც დაესწრო...

გაგრა-საბურთალო 1:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 ნოზაძე (45)

გაგრა: ბ.ქურდაძე, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, ნოზაძე, შონია, სულთანიშვილი, ბუხაიძე (ვაწაძე 57), ჩოგაძე (ოლხოვი 87), ქობულაძე, შეწირული (კერძევაძე 73), კვირკვია (ფარულავა 57)

საბურთალო: გოშაძე, ლაცაბიძე (იაშვილი 46), ჯგერენაია, შ.ნონიკაშვილი (ბენედიკი 81), ი.ტაბატაძე (გულიაშვილი 81), ქარდავა, კაკუბავა, ქავთარაძე (ლ.ნონიკაშვილი 66), სიხარულიძე, გოჩოლეიშვილი (შინდაგორიძე 66), უბილავა

3 ქულა აიღო გაგრამაც. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გაგრელებმა პირველ ტურში წაგებულ მატჩშიც მეტნაკლებად ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშეს. ამჯერადაც უფრო გამოცდილ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ გაგრელები ამ სეზონში სიუპრიზებს არ მოერიდებიან. საბურთალოს კი, სამუშაო ბევრი აქვს...

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	2	2	0	0	7-0	6
2.თელავი	2	2	0	0	3-0	6
3.სამგურალი	2	1	0	1	4-3	3
4.დინამო (თბ)	2	1	0	1	4-3	3
5.გაგრა	2	1	0	1	2-2	3
6.საბურთალო	2	1	0	1	2-2	3
7.დილა	2	1	0	1	2-2	3
8.ტორპედო	2	1	0	1	1-4	3
9.ლოკომოტივი	2	0	0	2	1-4	0
10.სიონი	2	0	0	2	0-6	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართულ-თურქული მედიის თანამშრომლობის ახალ ეტაპს საფუძველი ჩაეყარა

მეგობრობა, კოლეგიალობა და პატივისცემა – ეს ის მთავარი გზავნილია, რომლითაც ქართველი და თურქი ჟურნალისტები თანამშრომლობის ახალ ფორმატს იწყებენ. ყოველ შემთხვევაში, ამას საფუძველი უკვე ჩაეყარა, ახლა კი თავად მედიის წარმომადგენლების თანამშრომლობის სურვილსა და უნარებზეა დამოკიდებული, როგორ გავაგრძელებთ ურთიერთობას ორი მეგობარი ქვეყნის მეოთხე ხელისუფლებები.

ამ საფუძვლის ჩაყრაში კი ლომის წილი საქართველოში თურქეთის საელჩომ შეიტანა, რომლის ორგანიზებითაც მოეწყო ქართველი ჟურნალისტების ვიზიტი თურქეთში – სტამბოლსა და ანკარაში. მასპინძლობა და ურთიერთობის განმტკიცების სურვილი კი თავის თავზე აიღეს ორგანიზაციებმა: ჟურნალისტიკის გლობალურმა საბჭომ და ემრეს ინსტიტუტმა.

შეხვედრა მოიცავდა ფორმალურ ნაწილსაც და არაფორმალურსაც. ქართველ ჟურნალისტებს მიეცათ საშუალება, დაესვათ კითხვები თურქეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან და მათ შორის, საქართველოსთვის მტკივნეულ საკითხებზე, ისეთ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით, როგორიც ოშკი, იშხანი და სხვა ქართული ძეგლებია. ამ საკითხზე ქართულ მედიასთან თურქეთის კულტურის მინისტრის მოადგილემ ისაუბრა.

ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე ვისაუბრეთ ისეთ გამოწვევებზე, რაც უკავშირდება რუსეთის პროპაგანდას და მიზნად ისახავს ორი მეგობარი ქვეყნის – საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში ბზარის შეტანას. ორივე მხარე ვთანხმდებით, რომ ამის საუკეთესო პრევენცია მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული და ფაქტებით გამყარებული ინფორმაციის გავრცელებაა.

ქართველი ჟურნალისტების ვიზიტი სტამბოლიდან დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, ვესტუმრეთ მედიის გლობალურ საბჭოს, რომელიც 52 ქვეყანას აერთიანებს, თუმცა იქ წარმომადგენელი არ ჰყავდა საქართველოს. ვიზიტის დასრულებამდე კი ეს ჩავარდნაც აღმოიფხვრა – საბჭომ საქართველოდან წარმომადგენლად ჟურნალისტი ავთანდილ ოთინაშვილი აირჩია.

ქართველი ჟურნალისტები ვესტუმრეთ ტელეკომპანიებსაც. Global Harber-ში ვიზიტი დაემთხვა იმ დღეს, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ისევე, როგორც მსოფლიო მედია, ეს ტელეკომპანიაც სრულად უკრაინის ამბებსა და ამ საშინელი სურათის გაშუქებაზე იყო გადართული. აღმოჩნდა, რომ თურქეთსა და საქართველოს აქვს მსგავსი მედია გამოწვევებიც – მაგალითად, არც იქ დადიან თოქშოუებში პოზიცია და ოპოზიცია ერთად. ანკარაში ყოფნისას ასევე ვესტუმრეთ თურქეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის RTR-ის რამდენიმე არხს და გავეცანით მისი მუშაობის სპეციფიკასაც.

ვიზიტის დროს მასპინძლებსა და ორგანიზატორებს არც ეკონომიკური და სავაჭრო მხარე გამორჩენიათ მხედველობიდან. გვქონდა ვიზიტი DEIK-ში, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ ვაჭრობის მიმართულებით მუშაობს, ცხადია ჩვენ შეხვედრაზე საქართველოსთან ვაჭრობის პერსპექტივებზე ვისაუბრეთ. ასევე, გვქონდა ვიზიტი ემრეს ინსტიტუტშიც. ეს ინსტიტუტი უშუალოდ თურქეთის კულტურის პოპულარიზაციაზე მუშაობს. გავეცანით მათ სპეციფიკას, როგორ მუშაობენ თურქული კულტურისა და თურქული ენის პოპულარიზაციის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარი, პარტნიორი და მეზობელია, აღმოჩნდა, რომ მეზობელი ქვეყნის შესახებ ბევრი არ გვცოდნია. შევთანხმდით, რომ მეტი უნდა ვიმუშაოთ საერთო შეხების წერტილების აქტუალიზაციის მიმართულებით, რაშიც უშუალო შეხვედრები და კონტაქტები მეტად დაგვეხმარება.

ვიზიტის დროს არც ტურისტული, კულტურული თუ ისტორიული ძეგლების გაცნობის ნაკლებობა იყო. მათ შორის, ვესტუმრეთ ანკარაში თურქეთის ძველ პარლამენტს, რომელსაც ფონად გასდევს მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელი. სახელმწიფო მოღვაწის, რომლის რეპუტაციაც თურქეთში უკვდავია და რომლის სახელსაც უკავშირდება თანამედროვე თურქეთის შექმნა.

საქმიანი და არაოფიციალური შეხვედრების პარალელურად, მასპინძლებს არც ადგილობრივი სამზარეულოთი გამასპინძლება დავიწყებიათ. ქართველმა ჟურნალისტებმა თურქეთი დიდი შთაბეჭდილებებით დავტოვეთ. ერთადერთი, რამაც ხელი შეგვიშალა, წვიმა იყო, და, რაღა თქმა უნდა, აგრესია, რომელიც რუსეთმა დაატრიალა უკრაინაში და ჩვენ შეხვედრებსაც ფონად გასდევდა ეს მწუხარე ხაზი.

ქართველი და თურქი ჟურნალისტები შევთანხმდით, რომ ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა უნდა გახდეს მყარი საფუძველი, რომ მომავალში კავშირს კიდევ უფრო გავამყარებთ. თურქი ჟურნალისტები შეგვპირდნენ, რომ საქართველოს ისინიც ესტუმრებიან და ვიმედოვნებ, არც ჩვენ შევირცხვენთ თავს. მით უმეტეს, რომ საქართველოშიც არანაკლები ისტორია თუ კულტურა გვაქვს.

ქართველ ფეხბურთელებს რუსეთიდან წასვლაზე მწვანე შუქი აუნთეს

ფიფა ყველა იმ ლეგიონერს, რომლებიც რუსულ კლუბებში თამაშობენ, წასვლის უფლებას მისცემს.

ცხადია, კონტრაქტების გაწყვეტა ყოველგვარი საჯარიმო სანქციების გარეშე მოხდება. ფიფას ამ ნაბიჯისკენ რამდენიმე დღის წინ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ მოუწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა სატრანსფერო ფანჯარა დახურულია და 1 ივნისამდე არ გაიხსნება, ფიფა რუსეთიდან წასული ფეხბურთლებისთვის გამონაკლისს დაუშვებს და სასურველ კლუბში მოწყობის უფლებას მისცემს.

ამის წინაპირობაა ევროპის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ასოციაციის გადაწყვეტილება, რომელმაც საკუთარი რიგებიდან რუსეთის პრემიერლიგა და რუსეთის ფეხბურთის ნაციონალური ლიგა მოკვეთა.

ამ დროისთვის რუსეთის პრემიერლიგაში 133 ლეგიონერი თამაშობს. მათ შორის არიან ქართველებიც: ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი), გია გრიგალავა (ხიმკი), ჯიმი ტაბიძე (უფა), ლუკა გაგნიძე, ლუკა წულუკიძე (ორივე ურალი).

ეს ყველაფერი ქართველ ფეხბურთელებს ევროპისკენ გზას უხსნის, მაგრამ, ჯერჯერობით, უცნობია, რას აპირებენ ქართველები.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნიკოლოზ (ნიკა) წოწონავას გახსენება

2021 წლის 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზის დღეს შეგისრულდა 50 წელი. როგორ ვიფიქრებდით, რომ ეს იქნებოდა შენი ამქვეყნიური ბოლო დაბადების დღე და პატარა საბა დარჩებოდა საყვარელი მამის გარეშე, ხოლო მეუღლე, თამუნა, გახდებოდა ახალგაზრდა ქვრივი?! ან როგორ წარმოვიდგენდით, თუ რა განსაცდელში აღმოჩნდებოდა შენი დედიკოს, ლონდას სული ზეციურ ნათელში.

ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა შენთვის აფხაზეთის ტრაგედიის აღქმა, ომში მიღებული განცდა, თანამებრძოლების დაღუპვა, დევნილობაში პირველი დღიდან მშობლიურ აფხაზეთში დატრიალებული მკვლელობები, რომელიც თავს დაატყდა იქ დარჩენილ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, შენს დავით ბაბუას და ცუცა ბებიას, რომლებიც საშინლად აწამეს და მერე ცოცხლად დაწვეს. ამ უბედურებას ოჯახის წევრები და მეგობრები ერთმანეთს ვუმალავდით. შენ კი სუსხიან ზამთარში ბეთანიის მონასტერში არჩიე ამის გადატანა რამდენიმე თვე. ყველა ეს უბედურება ყოველთვის გულთან ახლოს მიგქონდა მარტოს. მუდამ სამართლიანობისთვის იბრძოდი. როგორც იურისტმა და პიროვნებამ, კატეგორიული უარი განაცხადე სახელმწიფო ჯილდოზე, რადგანაც წაგებული ომის გმირები ვერ წარმოგედგინა. დიახ, შენთვის ყველაზე მაღალი ჯილდო ღირსება იყო.

ყველას, ვისაც უჭირდა თუ ულხინდა, უნდოდა შენთან ახლოს ყოფნა. ყოველთვის მზად იყავი, რომ გაგეწია დახმარება, შეუძლებელიც რომ ყოფილიყო. მიუხედავად შექმნილი მწვავე სხვადასხვა ყოფითი პრობლემებისა, შენი გამოჩენა იუმორითა და მოფერებით ქმნიდა სასიამოვნო გარემოს. ამიტომ ნატრობდა შენს გამოჩენას ყველა, ვინც გიცნობდა. ულევი იყო სითბო, რომელსაც აიაზმასავით ყველას უწილადებდი. ძალიან ძნელია უშენოდ ცხოვრება. თითქოს სამყარო დაცარიელდა. ერთი და იგივე განცდაა მუდმივად. ჩვენ ერთნაირად გვტკივა უშენობა ყველაზე თბილო, ყველაზე ტკბილო, ყველაზე მწარე და ყველაზე გემრიელო. მძიმედ განიცდიან და წუხან შენს უდროოდ გადასვლას სამუდამო სასუფეველში ასევე ქობულეთელი მეგობრები და ნათესავები, შენი 5 წლის წინ მოულოდნელად ჩვენგან წასული დედიკო ლონდა.

მშვიდად იძინე, ჩვენო საყვარელო ვაჟკაცო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

გვიყვარხარ და გვენატრები მუდამ.

შენი საყვარელი ოჯახი და მეგობრები

როლანდ ზარქუას მონატრება

ჩვენო საყვარელო როინი ბიძია, უკვე 40 დღე გავიდა, რაც შენ ჩვენგან წახვედი და ზეციურ სასუფეველში დაიდე ბინა.

შენ ძალიან მოსიყვარულე ადამიანი იყავი. ყველა გიყვარდა და ყველას უყვარდი.

სიგიჟემდე გიყვარდა შენი ოჯახი, შენი დისშვილები, მათაც ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ.

შენ ძალიან ჩუმად, უხმაუროდ წახვედი ბიძია. გამომშვიდობებაც ვერ მოასწარი. დაგვიტოვე დიდი მწუხარება და გაუნელებელი ტკივილი.

შევთხოვთ უფალს, მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ილოცე იქიდან ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც გიყვარდა.

შენი გულდათუთქული დისშვილები მედიკო და ბახვა ქობალიები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

ფეხბურთი

5 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ლიდსი 1:0
ასტონ ვილა-საუთჰემპტონი 4:0
ბარნლი-ჩელსი 0:4
ვულვზი-კრ.პალასი 0:2
ნორვიჩი-ბრენტფორდი 1:3
ნიუკასლი-ბრაიტონი 2:1
ლივერპული-ვესტ ჰემი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	27	21	3	3	64-17	66
2.ლივერპული	27	19	6	2	71-20	63
3.ჩელსი	26	15	8	3	53-18	53
4.მანჩესტერი	27	13	8	6	44-34	47
5.ვესტ ჰემი	28	13	6	9	46-35	45
6.არსენალი	24	14	3	7	38-27	45
7.ტოტენჰემი	25	13	3	9	35-32	42
8.ვულვზი	27	12	4	11	24-23	40
9.საუთჰემპტონი	27	8	11	8	34-41	35
10.კრ.პალასი	28	7	12	9	39-38	33
11.ასტონ ვილა	26	10	3	13	37-37	33
12.ლესტერი	25	9	6	10	40-43	33
13.ბრაიტონი	27	7	12	8	26-32	33
14.ნიუკასლი	26	6	10	10	30-46	28
15.ბრენტფორდი	28	7	6	15	30-45	27
16.ლიდსი	27	5	8	14	29-61	23
17.ევერტონი	24	6	4	14	28-41	22
18.ბარნლი	26	3	12	11	22-36	21
19.უოტფორდი	26	5	4	17	25-47	19
20.ნორვიჩი	27	4	5	18	16-58	17

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ფულემი-ბლექბერნი 2:0
ბრისტოლი-ბირმინგემი 1:2
დერბი-ბარნსლი 2:0
ქპრ-კარდიფი 1:2
მიდლსბრო-ლუთონი 2:1
პრესტონი-ბორნმუთი 2:1
რედინგი-მილუოლი 0:1
სტოკი-ბლექპული 0:1
სუონსი-ქოვენთრი 3:1
ჰალი-ვესტ ბრომვიჩი 0:2

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ლევერკუზენი 1:1
ბოხუმი-ფიურტი 2:1
ვოლფსბურგი-უნიონი 1:0
ჰერტა-აინტრახტი 1:4
ლაიფციგი-ფრაიბურგი 1:1
შტუტგარტი-გლადბახი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	19	2	4	76-27	59
2.დორტმუნდი	24	16	2	6	64-37	50
3.ლევერკუზენი	25	13	6	6	64-40	45
4.ლაიფციგი	25	12	5	8	51-29	41
5.ფრაიბურგი	25	11	8	6	40-27	41
6.ჰოფენჰაიმი	24	12	4	8	47-36	40
7.უნიონი	25	10	7	8	32-33	37
8.კიოლნი	24	9	9	6	36-38	36
9.მაინცი	24	10	4	10	35-29	34
10.აინტრახტი	25	9	7	9	37-37	34
11.ბოხუმი	25	9	5	11	27-35	32
12.ვოლფსბურგი	25	9	4	12	27-37	31
13.გლადბახი	25	7	6	12	34-51	27
14.აუგსბურგი	25	6	8	11	27-41	26
15.არმინია	25	5	10	10	22-33	25
16.ჰერტა	25	6	5	14	26-58	23
17.შტუტგარტი	25	5	7	13	31-47	22
18.ფიურტი	25	3	5	17	23-64	14

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-ჰანოვერი 3:1
ზ.პაული-კარლსრუე 3:1
შალკე-ჰანზა 3:4
ნიუნბერგი-ჰამბურგი 2:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ვილიარეალი 1:0
ესპანიოლი-ხეტაფე 2:0
ვალენსია-გრანადა 3:1
რეალი-სოსიედადი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	27	19	6	2	56-21	63
2.სევილია	27	15	10	2	39-18	55
3.ბეტისი	26	14	4	8	48-32	46
4.ბარსელონა	25	12	9	4	46-28	45
5.ატლეტიკო	26	13	6	7	47-34	45
6.სოსიედადი	27	12	8	7	28-29	44
7.ვილიარეალი	27	11	9	7	47-26	42
8.ბილბაო	26	9	10	7	29-25	37
9.ვალენსია	27	9	9	9	41-43	36
10.ოსასუნა	27	9	8	10	26-31	35
11.სელტა	26	8	8	10	29-28	32
12.ესპანიოლი	27	8	8	11	33-40	32
13.რაიო	25	9	4	12	28-30	31
14.ელჩე	26	7	8	11	28-37	29
15.ხეტაფე	27	6	9	12	26-32	27
16.მალიორკა	26	6	8	12	23-41	26
17.გრანადა	27	5	10	12	28-43	25
18.ალავესი	27	5	7	15	21-44	22
19.კადისი	26	3	12	11	21-39	21
20.ლევანტე	26	3	9	14	28-51	18

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

უესკა-ლას პალმასი 0:0
ფუენლაბრადა-ბურგოსი 1:2
ტენერიფე-ვალიადოლიდი 1:4

იტალია. სერია ა

უდინეზე-სამპდორია 2:1
რომა-ატალანტა 1:0
კალიარი-ლაციო 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	27	17	7	3	60-22	58
2.ნაპოლი	27	17	6	4	49-19	57
3.მილანი	27	17	6	4	53-29	57
4.იუვენტუსი	27	14	8	5	41-25	50
5.რომა	28	14	5	9	46-34	47
6.ატალანტა	27	13	8	6	50-31	47
7.ლაციო	28	13	7	8	57-42	46
8.ფიორენტინა	26	13	3	10	45-36	42
9.ვერონა	27	11	7	9	52-43	40
10.სასუოლო	27	9	9	9	45-45	36
11.ტორინო	26	9	6	11	33-28	33
12.ემპოლი	28	8	8	12	40-53	32
13.ბოლონია	26	9	5	12	32-42	32
14.უდინეზე	26	6	11	9	34-43	29
15.სამპდორია	28	7	5	16	36-48	26
16.სპეცია	27	7	5	15	28-49	26
17.კალიარი	28	5	10	13	28-51	25
18.ვენეცია	26	5	7	14	24-47	22
19.ჯენოა	28	1	15	12	22-47	18
20.სალერნიტანა	26	3	6	17	20-61	14

იტალია. სერია ბ

კომო-სპალი 0:2
პარმა-რეჯინა 1:1
პორდენონე-პიზა 0:1
ჩიტადელა-მონცა 1:2
კრემონეზე-ბრეშა 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლანსი-ბრესტი 0:1
ნიცა-პსჟ 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	27	19	5	3	56-24	62
2.ნიცა	27	15	5	7	38-21	49
3.მარსელი	26	13	8	5	39-24	47
4.რენი	26	13	4	9	51-25	43
5.სტრასბური	26	12	7	7	48-31	43
6.ლიონი	27	11	9	7	38-33	41
7.ლანსი	27	11	7	9	42-38	40
8.ნანტი	26	11	6	9	34-29	39
9.ლილი	26	10	9	7	33-35	39
10.მონაკო	26	10	8	8	39-29	38
11.მონპელიე	26	11	4	11	41-38	37
12.ბრესტი	27	9	8	10	35-38	35
13.რეიმსი	26	7	10	9	30-30	31
14.ანჟე	26	7	8	11	31-38	29
15.კლერმონი	26	7	7	12	27-42	28
16.ლორიანი	27	5	9	13	22-43	24
17.ტრუა	26	5	7	14	23-41	22
18.მეცი	26	4	10	12	25-45	22
19.სტ.ეტიენი	26	5	7	14	27-50	22
20.ბორდო	26	4	10	12	38-63	22

საფრანგეთი. ლიგა 2

ნიმი-პარიზი 1:1
დიჟონი-კაენი 1:0
ლევიი-ლე ავრი 0:2
ნანსი-გრენობლი 0:1
ნიორი-აიაჩო 0:1
პო-ამიენი 2:1
როდეზი-ოსერი 1:3
ბასტია-ვალანსიენი 1:1
სოშო-გენგამი 1:0

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-ჰერენვენი 0:0
იგლზი-უტრეხტი 1:1
ფეინოორდი-გრონინგენი 1:1

ჰოხტგაერია. პირველი ლიგა

ბოავიშტა-ბრაგა 1:1
პორტიმონენშე-ბენფიკა 1:2
სპორტინგი-არაუჯა 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-გენკი 2:2
კორტრაიკი-სენ ჟილუა 2:3
სერენი-ბრიუგე 0:5

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ალტახი 4:0

მოტლანდია. პირველი ლიგა

დ.იუნაიტედი-ჰარტსი 2:2
მოზერველი-დანდი 1:1
რეინჯერსი-აბერდინი 1:0
როსი-სტ.მირენი 1:0
ჰიბერნიანი-სტ.ჯონსონი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ქაშიმფაშა 2:3
რიზე-გირესუნი 1:2
ქონია-გალათასარაი 2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

იანგ ბოიზი-ლუცერნი 2:2
ლოზანა-ციურიხი 0:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-პლზენი 1:2
პარდუბიცე-ჩესკე 3:3
სიგმა-ბოჰემიანსი 1905 ..... 0:0
ბანიკი-ლიბერეცი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ნეცეჩა-ვარტა 1:0
ზაგლებიე-პიასტი 0:0
ლეხია-ვისლა 1:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

პაკში-მეზეკოვეშდი 4:0
უიპეშტი-პუშ.აკადემია 2:1

უიპეშტის პირველი გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

ჰონვედი-დებრეცენი 4:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტონ ვილა კოუტინიოს გამოსყიდვას აპირებს

ასტონ ვილა მზად არის, ფილიპე კოუტინიო გამოისყიდოს, რადგან ამ გუნდში ის ძალიან კარგ შედეგებს აჩვენებს და მისი თამაშით ყველა კმაყოფილია.

ბარსელონა ასევე არ არის წინააღმდეგი, კოუტინიო გაყიდოს, თუმცა საჭიროა ფასზე შეთანხმება და ამ ფაქტორმა, შესაძლოა, სირთულეები გამოიწვიოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კლდის ვეფხვად წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. რეგიონი კახეთში; 7. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ძველად; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. ძველებური სავაჭრო-სასადილო; 15. ხორბლის ქართული ჯიში; 17. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 20. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

თარაზულად: 5. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 6. მადრიდის „ატლანტიკოს“ მწვრთნელი; 9. უმცროსი მეთაური, კაპიტნის თანაშემწე გემზე; 10. უბანი სოხუმში; 11. ირანსა და შუა აზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 13. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. ბატონის მიერ ეკლესიის მფარველობაში გადაცემული ყმაგლეხი ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 19. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 21. სპეციალური საბალეტო ფეხსაცმელი; 22. მეტროს სადგური თბილისში; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაბერნე; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სტუპორი; 5. ჭედილა; 9. ტაიმსი; 11. დიადემა; 12. ხერესი; 14. პრომეთე; 18. არესი; 19. გუამი.

თარაზულად: 4. სირაჯი; 5. ჭკუასელი; 6. ჰიმნი; 7. კურსები; 8. პერესი; 10. მდადი; 13. ნეპალი; 15. რუზინე; 16. მადა; 17. რიწა; 20. მაცუბი; 21. დინასი; 22. მესხეთი; 23. მოხერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დნეპრი; 2. ქართუ; 3. დოკი; 5. ფაზისი; 6. პრადა; 7. დუმბაძე; 11. ნაგანი; 13. სპირალი; 14. იანძი; 15. ზოსტერა; 16. ჩხავერი; 17. ბაკარა; 19. ელესა; 20. ტოტო.

თარაზულად: 1. დუქარდი; 4. ბლეფი; 8. კრუზი; 9. ზღვა; 11. პითონი; 12. აბატისა; 14. ირაო; 15. ზელენსკი; 16. ჩანგი; 18. მატიე; 21. კუკია; 22. რუსტიკა; 23. სორბონა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2744

ევრო — 3.6035

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3605

100 რუსული რუბლი — 2.9293

ამინდის პროგნოზი 7 მარტისათვის



ერლინგ ჰოლანდმა, შესაძლოა, კარიერა რეალში გააგრძელოს

დორტმუნდის ბორუსიას ჰოლანდიელმა ფორვარდმა ერლინგ ჰოლანდმა კარიერა, შესაძლოა, რეალში გააგრძელოს და სამეფო გუნდთან მისი აგენტი აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდი უკვე მოელაპარაკა რეალს, თუმცა თვითონ ფეხბურთელი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

სეზონის დასაწყისში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰოლანდი, დიდი ალბათობით, ბარსელონას ფეხბურთელი გახდებოდა.

რამოსი პსჟ-ს დატოვებასთან ახლოს არის

პსჟ-ში სერხიო რამოსით უკმაყოფილოები არიან და, დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს პარიზელები მის გაყიდვას შეეცდებიან, თუმცა რამოსის მყიდველის პოვნა იოლი არ იქნება, რადგან სერხიო უკვე სოლიდურ საფეხბურთო ასაკშია.

გარდა ამისა, რამოსი, სავარაუდოდ, მაღალ ანაზღაურებას მოითხოვს და მას ამ მოთხოვნას ბევრი კლუბი ვერ დაუკმაყოფილებს.

რამოსი პსჟ-ს ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მაია ასათიანი მზადაა, უკრაინელი ბავშვების დედა გახდეს

ტელეწამყვანი მაია ასათიანი მზადაა, დაობლებული უკრაინელი ბავშვების დედა გახდეს.

ამის შესახებ მან ინფორმაცია ინტერნეტით გაავრცელა:

– ბოლო 5 წელია, ყველაზე მძიმეა ჩემთვის, როცა დედის დღეს მილოცავენ. თუმცა, ჩემი ცხოვრების მთავარი გადაწყვეტილება სწორედ ამ დღეს მივიღე. როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, უკრაინაში ჩავალ და ომის დროს დაობლებული ბავშვის ან ბავშვების დედა გავხდები.

ლადო აფხაზავა უკრაინელების დასახმარებლად პირად ნივთებს ყიდის

საუკეთესო მასწავლებლად დასახელებული ლადო აფხაზავა უკრაინელი მოსწავლეებისა და მასწავლებლების დასახმარებლად პირად ნივთებს ყიდის:

– უკრაინელი მოსწავლეებისა და მასწავლებლების დასახმარებლად გადავწყვიტე, გავყიდო დედის მიერ დატოვებული ოქროს რგოლის ბეჭედი და ჩემი ჯილდოს მონეტა. ალბათ, 2.500 ლარი საკმარისია.

დედა, ეს შენც გაგიხარდებოდა. მაპატიე, მაგრამ ახლა მეტი არაფერი გამაჩნია.

დიდება უკრაინას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 მარტისათვის

ვერძი – ნეგატიური ტენდენციების მატარებელი დღეა. ემოციები გონიერებას აჭარბებს. ერიდეთ ხმამაღალ ლაპარაკსა და საქმის გარჩევებს. **კურო** – დაფიქრდით, გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. მთლიანობაში, კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – პარტნიორი თქვენს მოტყუებას აპირებს. ეს კი კონფლიქტს გამოიწვევს. ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე გმართებთ. **კირჩხიბი** – ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ყველაფერი დროებითია და მალე გამოსწორდება. **ლომი** – პოზიტიური დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ქალწული** – მოსალოდნელია იმედგაცრუება. იოლად ნურავის მიენდობით. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას. **სასწორი** – მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგიტანთ. **ღრიანკალი** – გიუმჯობესდებათ ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ინტიმურ სფეროში სასიამოვნო სიახლე გელით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. ფიზიკური დატვირთვა მოგიხდებათ და გაგახალისებთ. **თხის რქა** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **მერწყული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. დღეს თქვენს მოტყუებას ვერავინ შეძლებს. გიმართლებთ პარტნიორულ ურთიერთობებში. **თევზები** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. რეკომენდებულია შემოქმედებითი შეხვედრები.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქმარი ცოლს მანქანის ტარებას ასწავლის და ეუბნება:

– როდესაც მწვანე შუქს ხედავ – გაიარე, ხოლო თუ წითელია – გაჩერდი, ხოლო თუ ხედავ, რომ სახეზე ფერი აღარ მადევს, მაშინვე დაამუხრუჭე.

●●●

მოსამართლე დაზარალებულ ქალს მიმართავს:

– მოგვახსენეთ, რაში იყო თქვენი საქმის არსი.

– მან საწოლში ჩამაწვინა და შეურაცხყოფა მომაყენა.

– თავისი ქმედებით?

– უმოქმედობით...

●●●

კონსულტანტი გოგონა მაღაზიაში შესულ მამაკაცს ეკითხება:

– კეთილი იყოს თქვენი ჩვენ მაღაზიაში მობრძანება, რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

– სხვა კონსულტანტები მომაშორეთ.

●●●

ქმარი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

– ეს შენ ხარ, საყვარელო?

– არა, მე ვარ, – უპასუხა ცოლმა.

●●●

მოხუცმა ბადე ზღვაში გადააგდო და ოქროს თევზი დაიჭირა. თევზი ეკითხება:

– შენი ცოლი ცოცხალია?

– კი.

– მაშინ შემწვი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა მშვიდი და მომხიბვლელი ქალია, სად იპოვე?

– სადგურზე პოლიციელებს ეჩხუბებოდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნამ პარიზში ახალი კოლექციის ჩვენება უკრაინას მიუძღვნა

ქართველმა დიზაინერმა დემნამ ბალენსიაგას 2022 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციის ჩვენება უკრაინას მიუძღვნა. შოუზე ის თავის გუნდთან ერთად ბოლო 6 თვის განმავლობაში მუშაობდა.

ბალენსიაგას ახალი კოლექციის პრეზენტაციაზე დემნამ სტუმრებს მოსაწვევად დამტვრეული აიფონები გაუგზავნა, შოუზე მისულ ყველა სტუმარს კი სკამზე უკრაინის დროშის ფერებში შეკერილი მაისურები დაახვედრა.

დემნა:

– უკრაინაში მიმდინარე ომმა ჩემში ტკივილი გააღვიძა იმ წარსული ტრავმის, რომელსაც 1993 წლიდან ვატარებ, როდესაც იგივე რამ მოხდა ჩემს ქვეყანაშიც. ეს ისეთი რამ არის, რაც ყოველთვის შენში რჩება.

ამ კვირაში ჩემთვის წარმოუდგენელად რთული იყო შოუზე მუშაობა. ასეთ დროს, მოდა კარგავს არსებობის უფლებასაც. მოდის კვირეული აბსურდულად გამოიყურება. მე ვფიქრობდი, რომ გამეუქმებინა შოუ, რომელზეც მე და ჩემმა გუნდმა ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და ყველა ძალიან ველოდით. მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ ეს კიდევ ერთხელ იქნებოდა დანებება ეშმაკთან, რომელმაც უკვე საკმარისი ტკივილი მომაყენა, თითქმის 30 წლის განმავლობაში.

შოუს დამატებითი განმარტება არ სჭირდება. ის ეძღვნება უშიშროებას, გამძლეობას, მშვიდობის და სიყვარულის გამარჯვებას!

გუჯა ბურდული გარდაიცვალა



80 წლის ასაკში მსახიობი გუჯა ბურდული გარდაიცვალა. ბოლო პერიოდში მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და მკურნალობას საავადმყოფოში გადიოდა.

სამწუხარო ინფორმაცია მსახიობმა ნატა გულიაშვილმა გაავრცელა:

– უნიჭიერესი მსახიობი და ჩემი უახლოესი მეგობრის, მაკას მამიკო გარდაიცვალა. ბატონი გუჯა ბურდული აღარ ჰყავს საქართველოს. ნათელში იყოს თქვენი ღამაზი სული, ბატონო გუჯა.

– მაშინ სხვა გრძნობა იყო. სხვა ხალხი იყო. იმნაირი საქართველო და ხალხი გენატრება. სოფელში რომ წახვიდოდი, ბაბუა ბაბუა იყო, ბებია – ბებია, პაპა – პაპა და ბაბო – ბაბო. მამა და დედა ბავშვებს უვლიდნენ, მერე ბავშვები უვლიდნენ მშობლებს – წესი იყო ასეთი. ახლა ვერ გაიგებ, რა ხდება. იმდროინდელი თავაზიანობა სად მოვა, ამდროინდელ თავაზიანობასთან. სულ სხვა იყო. ძალიან თბილი იყო ხალხი. ბებიებს კაბის ჯიბეში კანფეტები რომ ჰქონდათ – ჩაიყოფდნენ ხელს ჯიბეში და იტყოდნენ: „აი, შენ, კანფეტი“. განათლებული ახალგაზრდობა მოდის, უფრო განათლებული, ვიდრე ჩვენ, მაგრამ იმ განათლებას ზრდილობა არ მოსდევს, ისეთი, როგორიც ჩვენ გვქონდა, – ამბობდა ყველასთვის საყვარელი მსახიობი.

პ.ს. გუჯა ბურდულს უკანასკნელ გზაზე 8 მარტს გააცილებენ. მსახიობთან გამომშვიდობება სიონის ტაძარში ყველა მსურველს შეეძლება.

კინოთეატრი „ამირანი“ უკრაინის დღეებს გამართავს

კინოთეატრი ამირანი 4 დღის განმავლობაში უკრაინის დღეებს გამართავს.

ღონისძიების ფარგლებში ქართველი კინომწარმოებლები და რეჟისორები მაყურებელს „უკრაინის დღეებს“ წარუდგენენ.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 10 დოკუმენტური და მხატვრული ფილმი უკრაინის უახლესი ისტორიის შესახებ.

თამრიკო გვერდწითელი ჩივის

მომღერალი თამრიკო გვერდწითელი ჩივის. ინფორმაცია ამის შესახებ „სირცხვილიას“ წარმომადგენელმა გიგა მაქარაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი გიგა მაქარაშვილსა და დავით ოქიტაშვილს უჩივის. მიზეზი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისი სახელობითი ვარსკვლავის უკრაინის დროშის ფერებში გადაღებვაა.

მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ კრემლის სასახლეში დაგეგმილ კონცერტში ქართველი მომღერლები სოსო პავლიაშვილი, ქეთა თოფურია და თამარ გვერდწითელი იმღერებდნენ, გიგა მაქარაშვილმა თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გახსნილი თამარ გვერდწითელის სახელობითი ვარსკვლავი ცისფერ და ყვითელ ფერებში გადაღება და მომღერალს თამარ გვერდყვითელი უწოდა:

– ამასაც მოვესწარი. მე და დათო ოქიტაშვილს ერთად გვიჩივის თამრიკო გვერდწითელი. მართლა, – განაცხადა გიგა მაქარაშვილმა.

კულტურის პალატის ხელმძღვანელმა და ვარსკვლავების გახსნის ორგანიზატორმა დავით ოქიტაშვილმა გიგა მაქარაშვილის საქციელი მოიწონა და განაცხადა, რომ არ გმობს მის ქმედებას, რადგან, როცა უკრაინაში ბავშვები, ქალები და მოხუცები იღუპებიან, კრემლში სიმღერა სამარცხვინოა.

მოგვიანებით თამარ გვერდწითელის ინტერნეტ გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, არანაირი კონცერტი კრემლში არ შედგება:

– არანაირი კრემლის კონცერტი! კონცერტი არ შედგება კრემლში!

პროდიუსერმა ნატო დუმბაძემ კი საზოგადოებას ამცნო, რომ ქეთა თოფურია ამ კონცერტში პირადი მიზეზის გამო არ იღებდა მონაწილეობას:

– მე კი ვიცოდი, მაგრამ შეგნებულად არ ვწერდი, ბოლომდე მაინტერესებდა, ვინ მტერი და ვინ მოყვარეა. მინდა გაგიცრუოთ იმედები და მოგახსენოთ, რომ ქეთა ამ კონცერტში პირადი პრობლემების გამო არ იღებს მონაწილეობას! შეგრცხვათ? თუმცა, არა, ეს ხომ ის კასტაა, გადაუმოწმებლად საკუთარს ხალხს ასე გადაუაროს, ბოლი გამოუშვას და ალანძღვინოს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8; იტალია-შვეიცარიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 14. გზაგამტარი ჩქაროსნულ ავტობანზე; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ბრიტანული ტაქსი; 20. ქალაქი ჩეხეთში.

თარაზულად: 5. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელი; 6. შვედეთის დედაქალაქი; 9. ტბა შვეიცარია-იტალიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. ძველბერძენი დრამატურგი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა